

ს.ს. პროკრედიტ ბანკი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
31 დეკემბერი, 2009 წ.

შინაარსი

| | |
|---|----|
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა | 1 |
| კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება | |
| კონსოლიდირებული საბალანსო უწყისი | 2 |
| კონსოლიდირებული მოგება-ზარალის უწყისი | 3 |
| კონსოლიდირებულ სააქციო კაპიტალში ცვლილებების უწყისი | 4 |
| კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი | 5 |
| შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის | |
| 1. შესავალი | 6 |
| 2. საოპერაციო გარემო | 6 |
| 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება | 8 |
| 4. დაშვებები და პროგნოზები | 23 |
| 5. ცვლილებები ფას სტანდარტებში და მათი ინტერპრეტაცია | 23 |
| 6. შედარებითი მონაცემები | 34 |
| 7. ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტები | 37 |
| 8. მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ | 38 |
| 9. გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 39 |
| 10. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები | 41 |
| 11. არამატერიალური აქტივები | 48 |
| 12. ძირითადი საშუალებები | 49 |
| 13. სხვა აქტივები | 50 |
| 14. ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ | 50 |
| 15. რეალური ღირებულებით აღიარებული ფინანსური ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით | 51 |
| 16. კლიენტთა ანგარიშები | 51 |
| 17. სხვა ნასესხები სახსრები | 53 |
| 18. სხვა ფინანსური ვალდებულებები | 54 |
| 19. რეზერვები გარესაბალანსო მუხლებისთვის | 55 |
| 20. მოგების გადასახადი | 55 |
| 21. სუბორდინირებული ვალი | 56 |
| 22. სააქციო კაპიტალი და საემისიო კაპიტალი | 57 |
| 23. წმინდა საპროცენტო შემოსავალი | 57 |
| 24. საკომისიო შემოსავლები და ხარჯები | 59 |
| 25. წმინდა მოგება ვალუტი ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | 59 |
| 26. სხვა საოპერაციო შემოსავლები და ხარჯები | 60 |
| 27. ბანკის პერსონალის და ადმინისტრაციული ხარჯები | 60 |
| 28. ფინანსური რისკის მართვა | 61 |
| 29. ფინანსური ინტესტრუმენტების რეალური ღირებულება | 87 |
| 30. ფინანსური ინსტრუმენტების კლასების მისადაგება შეფასების კატეგორიებთან | 89 |
| 32. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან | 92 |
| 32. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება) | 94 |
| 33. ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდგომ მომხდარი მოვლენები | 94 |

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ს/ს პროკრედიტ ბანკის აქციონერებსა და მენეჯმენტს

1. ჩვენ აუდიტი ჩავეტარეთ ს/ს პროკრედიტ ბანკის და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში "ბანკი") თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ საბალანსო უწყისს 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ მოგებისა და ზარალის უწყისს, კონსოლიდირებულ კაპიტალში ცვლილებების უწყისსა და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის, ასევე ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების რეზიუმეს.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

2. მენეჯმენტი პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს უნებლიე, ან განზრახ არსებით უზუსტობას; აგრეთვე, ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და არსებული გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

3. ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავეტარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები ჩვენგან მოითხოვს უტიკის ნორმების დაცვას და აუდიტის იმგვარად დაგეგმვას და ჩატარებას, რომ მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.
4. აუდიტი გულისხმობს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. რისკის ამ შეფასებებისას აუდიტორი განიხილავს შიდა კონტროლის პროცედურებს, რომლებიც შეეხება საწარმოს მიერ ფინანსური უწყისების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარმოდგენას, არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა საწარმოს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით. აუდიტი, ასევე, ითვალისწინებს გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული საბუღალტრო შეფასებების ადეკვატურობის შეფასებას და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.
5. ჩვენ მიგვანია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

დასკვნა

6. ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

კონსოლიდირებული საბალანსო უწყისი

'000 ლარში

| | შენიშვნები | 2009 | 2008 | 2007 |
|---|------------|----------------|----------------|----------------|
| აქტივები | | | | |
| ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტები | 7 | 107,939 | 78,556 | 59,252 |
| მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ | 8 | 37,106 | 52,912 | 36,578 |
| რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებაში ან ზარალში ასახვით | | - | - | 55 |
| გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 9 | 4,357 | 435 | 145 |
| დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები | | - | - | 54,100 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები | 10 | 517,328 | 501,282 | 367,239 |
| არამატერიალური აქტივები | 11 | 2,763 | 296 | 470 |
| ძირითადი საშუალებები | 12 | 44,943 | 42,588 | 24,235 |
| მიმდინარე საგადასახადო აქტივები | | 137 | 30 | - |
| გადავადებული საგადასახადო აქტივები | 20 | - | - | 198 |
| სხვა აქტივები | 13 | 7,640 | 4,103 | 4,967 |
| სულ აქტივები | | 722,213 | 680,202 | 547,239 |
| ვალდებულებები | | | | |
| ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ | 14 | 493 | 22,145 | 15,091 |
| რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება მოგებაში ან ზარალში ასახვით | 15 | 905 | - | - |
| კლიენტთა ანგარიშები | 16 | 384,393 | 293,596 | 276,168 |
| სხვა ნასესხები სახსრები | 17 | 164,650 | 229,524 | 160,442 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 18 | 1,119 | 437 | 6,889 |
| რეზერვები გარე საბალანსო მუხლებისთვის | 19 | 109 | 131 | 146 |
| მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება | | - | - | 821 |
| გადავადებული საგადასახადო ვალდებულება | 20 | 2,046 | 330 | - |
| სუბორდინირებული ვალი | 21 | 67,642 | 41,254 | 14,693 |
| სულ ვალდებულებები | | 621,357 | 587,417 | 474,250 |
| საკუთარი კაპიტალი | | | | |
| სააქციო კაპიტალი | 22 | 58,850 | 58,850 | 48,932 |
| საემისიო კაპიტალი | 22 | 11,593 | 11,593 | 6,293 |
| გაუნაწილებელი მოგება | | 30,413 | 22,342 | 17,764 |
| სულ კაპიტალი | | 100,856 | 92,785 | 72,989 |
| სულ კაპიტალი და ვალდებულებები | | 722,213 | 680,202 | 547,239 |

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია დირექტორთა საბჭოს სახელით 2010 წლის 29 მარტს.

საშა ტერნესი
დირექტორი

ირინა კილასონია
მთავარი ბუღალტერი

ს. ს. პროგრედიტ ბანკი
31 დეკემბერი, 2009 წ.

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის უწყისი

'000 ლარში

| | შენიშვნები | 2009 | 2008 |
|---|------------|---------------|---------------|
| საპროცენტო შემოსავალი | | 115,008 | 99,246 |
| საპროცენტო ხარჯი | | (44,759) | (37,602) |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხების დარეზერვებამდე | 23 | 70,249 | 61,644 |
| სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვი | 10 | (311) | (6,589) |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი დარეზერვების შემდეგ | | 69,938 | 55,055 |
| საკომისიო შემოსავალი | 24 | 5,863 | 5,489 |
| საკომისიო ხარჯი | 24 | (2,501) | (2,290) |
| მოგება (ზარალი) უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან | 25 | 4,883 | 5,223 |
| მოგება (ზარალი) საგაღწეო სახსრების გადაფასებიდან მოგებაში ან ზარალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებიდან და ვალდებულებებიდან მიღებული დანაკარგები | 25 | (584) | 1,750 |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | 26 | 956 | 2,681 |
| სხვა საოპერაციო ხარჯი | 26 | (613) | (883) |
| ბანკის პერსონალის ხარჯები | 27 | (29,765) | (27,015) |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯები | 27 | (24,692) | (23,805) |
| მოგება გადასახადის გამოქვითვამდე | | 23,442 | 16,153 |
| მოგების გადასახადის ხარჯი | 20 | (3,621) | (2,575) |
| წმინდა მოგება | | 19,821 | 13,578 |
| მთლიანი მოგება წლის ბოლოსათვის | | 19,821 | 13,578 |

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია დირექტორთა საბჭოს სახელით 2010 წლის 29 მარტს.

საშა ტერნესი
 დირექტორი

ირინა კილასონია
 მთავარი ბუღალტერი

ს. ს. პროგრედიტ ბანკი
31 დეკემბერი, 2009 წ.

კონსოლიდირებულ სააქციო კაპიტალში ცვლილებების უწყისი

'000 ლარში

| | სააქციო კაპიტალი | საემისიო კაპიტალი | გაუნაწილებელ ი მოგება | სულ |
|---|---------------------|----------------------|--------------------------|----------------|
| ბალანსი 1 იანვარს, 2008 წ. | 48,932 | 6,293 | 17,764 | 72,989 |
| წლის მთლიანი მოგება | - | - | 13,578 | 13,578 |
| 2007 წლის მოგებიდან განაწილებული დივიდენდები | - | - | (9,000) | (9,000) |
| | 9,918 | 5,300 | - | 15,218 |
| ბალანსი 31 დეკემბერს, 2008 წ. | 58,850 | 11,593 | 22,342 | 92,785 |
| წლის მთლიანი მოგება | - | - | 19,821 | 19,821 |
| 2008 წლის მოგებიდან განაწილებული დივიდენდები | - | - | (11,750) | (11,750) |
| ბალანსი 31 დეკემბერს, 2009 წ. | 58,850 | 11,593 | 30,413 | 100,856 |

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია დირექტორთა საბჭოს სახელით 2010 წლის 29 მარტს.

საშა ტერნესი
 დირექტორი

ირინა კილასონია
 მთავარი ბუღალტერი

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

| '000 ლარში | შენიშვნები | 2009 | 2008 |
|---|------------|-----------------|-----------------|
| მოგება გადასახადის გამოქვითვამდე | | 23,442 | 16,153 |
| სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვი | 10 | 311 | 6,316 |
| რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავალი მოგებაში ან ზარალში ასახვით | | (43) | - |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 27 | 5,600 | 4,621 |
| არარეალიზებული ზარალი / (მოგება) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | | 65 | 5,223 |
| გარესაბაღიანო მუხლებითის გაუფასურების რეზერვის უკუგატარება | | (22) | (16) |
| ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან მიღებული მოგება | | (154) | (138) |
| მიღებული პროცენტები | | 114,038 | 93,153 |
| გადახდილი პროცენტები | | (43,821) | (35,029) |
| გადახდილი საშემოსავლო გადასახადი | | (2,010) | (2,898) |
| ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე | | 97,406 | 87,385 |
| საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების გაზრდა/შემცირება არაფულადი მუხლების შემდეგ: | | | |
| მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ | | (16) | 16,561 |
| რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით | | 53 | 120 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები | | (9,736) | (137,475) |
| სხვა აქტივები | | (3,545) | 4,421 |
| ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ | | (21,442) | 58,690 |
| რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით | | 905 | - |
| კლიენტების ანგარიშები | | 70,739 | 16,698 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | | 683 | (8,006) |
| პროცენტები და დივიდენდები | | (70,249) | (62,241) |
| წმინდა ფულადი სახსრები შემოსული/(გასული) საოპერაციო საქმიანობის შედეგად | | 64,798 | (23,847) |
| ძირითადი საშუალებების შეძენა | | (14,706) | (26,622) |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი | | 4,432 | 3,758 |
| გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა | | (3,920) | (290) |
| დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი | | - | 54,100 |
| ფულადი სახსრები შემოსული/(გასული) საინვესტიციო საქმიანობის შედეგად | | (14,194) | 30,946 |
| გადახდილი დივიდენდები | | (11,750) | (15,399) |
| გამოშვებული აქციები | | - | 15,218 |
| სხვა ნახესხები ფულადი სახსრებიდან მიღებული შემოსავალი | | 52,171 | 25,541 |
| სხვა ნახესხები ფულადი სახსრების დაფარვა | | (97,774) | (8,393) |
| სუბორდინირებული ვალეებიდან მიღებული შემოსავალი | | 32,114 | 29,352 |
| სუბორდინირებული ვალეების დაფარვა | | (6,090) | (3,398) |
| ფულადი სახსრები შემოსული/(გასული) ფინანსური საქმიანობის შედეგად | | (31,329) | 42,921 |
| ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში | 7 | 111,003 | 59,252 |
| ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობის შედეგად | | 64,798 | (23,847) |
| ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობის შედეგად | | (14,194) | 30,946 |
| ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობის შედეგად | | (31,329) | 42,921 |
| სავალუტო კურსის ცვლილების შედეგები | | (67) | 1,731 |
| ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტები წლის ბოლოსთვის | 7 | 130,211 | 111,003 |

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია დირექტორთა საბჭოს სახელით 2010 წლის 29 მარტს

საშა ტერნესი
დირექტორი

ირინა კილასონია
მთავარი ბუღალტერი

1. შესავალი

ს/ს პროკრედიტ ბანკი წარმოადგენს დახურული ტიპის სააქციო საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და მუდმივად ფუნქციონირებს საქართველოში. 2008 წლის და 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის უშუალო და ერთადერთი სათავე კომპანია ს/ს პროკრედიტ ჰოლდინგი იყო.

საზედამხედველო მიზნებისთვის პროკრედიტ ბანკი საქმიანობას აწარმოებს ზოგადი საბანკო ლიცენზიით 233 და მის საქმიანობას არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი ("NBG").

ბანკის იურიდიული მისამართია: აღმაშენებლის გამზ. 154, 0112, თბილისი, საქართველო. ბანკის სათავე ოფისი მდებარეობს თბილისში. ბანკს ასევე გააჩნია 59 ფილიალი და კვანძგარეთა განყოფილება თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, გორში, ფოთში, ზუგდიდში, ქობულეთში, თელავში, რუსთავში, სადახლოში, მარნეულში, ხაშურში, ზესტაფონში, ოზურგეთში, ბორჯომსა და წნორში.

2009 წლის 31 დეკემბრისთვის ბანკი ერთპიროვნულად ფლობდა შვილობილ კომპანიას შპს „პროკრედიტ ფროფერტის“, რომელიც 2007 წლის 23 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოყალიბდა, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის ძირითადი საქმიანობა უძრავ-მოძრავი ქონების ფლობა და განკარგვაა.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა ბანკისა და მისი შვილობილი კომპანიის საბუღალტრო აღრიცხვის საფუძველზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

2. საოპერაციო გარემო

პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება საქართველოში

2009 წელი საქართველოსთვის მორიგი სირთულეებით აღსავსე წელიწადი გამოდგა, რადგანაც 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებულმა კონფლიქტმა და მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა ქვეყანა საკმაოდ დააზარალა. წლის პირველ ნახევარში არამდგრადმა პოლიტიკურმა სიტუაციამ, როგორც საგარეო, ასევე შიდა ინვესტიციების შემცირებამ და ძალზე შეზღუდულმა დაკრედიტებამ ბანკების მხრიდან, ქვეყანაში ეკონომიკური საქმიანობის შესუსტება განაპირობა. მთავრობამ ეკონომიკის მხარდაჭერა შეძლო პირველადი დონორების სახსრების მეტწილად ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და სოციალურ პროგრამებზე დახარჯვით.

წლის მეორე ნახევარში პოლიტიკურ ვითარებას სტაბილურობის, ხოლო ეკონომიკას გამოცოცხლების ნიშნები დაეტყო, თუმცა საგარეო ვითარება ჯერაც მოისუსტებს საექსპორტო ბაზრის ზრდის თვალსაზრისით და კერძო კაპიტალის შემოდინების აღდგენასთან დაკავშირებული ბუნდოვანი მომავლის გამო. გარდა ამისა, ქვეყნის შიგნით საკრედიტო პირობები ჯერაც გამკაცრებულია, თუმცა საპროცენტო განაკვეთებმა უკვე დაიწყო კლება.

2009 წლის ეკონომიკური დაღმავლობა ერთიანი შიდა პროდუქტის 4%-ით შემცირებაზეც აისახა. ეს დაღმავლობა კიდევ უფრო საგრძნობი იქნებოდა, რომ არა საერთაშორისო

დონორების მიერ გაღებული 4.5 მილიარდი დოლარი. წლიური ინფლაციის დონე შედარებით დაბალი - მხოლოდ 3% იყო, 2008 წლის 5.5%-იან და 2007 წლის 11%-იან მანკვინებლბებთან შედარებით. გარდა ამისა, სექტემბერში სარეიტინგო სააგენტო Fitch Ratings-მა დაადასტურა საქართველოს გრძელვადიანი უცხოური და ეროვნული ვალუტის გამომშვების დეფოლტის 'B+' რეიტინგი, ხოლო ქვეყნის მაქსიმალურმა შესაძლო რეიტინგმა 'B+' -დან 'BB-' -მდე აიწია სტაბილური პერსპექტივით - ეს ის რეიტინგია, რომელიც საქართველოს 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებულ კონფლიქტამდე ჰქონდა მინიჭებული.

მომავალში საქართველოს ეკონომიკური განვითარება დიდწილად იქნება დამოკიდებული ქვეყნის მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და სავალუტო პოლიტიკაზე, და ასევე საგადასახადო, სამართლებრივი, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების განვითარებაზე. შიდა და რეგიონული პოლიტიკური სტაბილურობა აუცილებელია ეკონომიკის წარმატებული განვითარებისთვის, ხოლო ადგილობრივი საინვესტიციო კლიმატის მუდმივად გაუმჯობესებას და ინვესტორების თვალში საქართველოსთვის მიმზიდველობის დაბრუნებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

ბოლოდროინდელი მერყეობა გლობალურ ბინანსურ ბაზარზე.

საბანკო სექტორმა კრიზისი შედარებით უკეთ გადაიტანა და 2009 წლის დასაწყისიდან მთლიან ფინანსურ სისტემასთან დაკავშირებული რისკები საგრძნობლად შემცირდა. ბანკებმა შეძლეს კაპიტალის სოლიდური ბაზის შენარჩუნება, ადადგინეს ლიკვიდურობის მძლავრი ბუფერები და შექმნეს ადეკვატური რეზერვები.

მიუხედავად ამისა, სხვადასხვა ტიპის უზრუნველყოფის, განსაკუთრებით უძრავი ქონების ბაზარი საქართველოში ძალზე დაზარალდა გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე შექმნილი ბოლოდროინდელი არასტაბილური ვითარების გამო, რამაც გარკვეული ტიპის აქტივებზე ლიკვიდურობის დაბალი დონე განაპირობა. ამის შედეგად, დაგირავებული ქონების რეალური რეალიზებადი ღირებულება შეიძლება განსხვავდებოდეს ცვეთის დარიცხვის შედეგად მიღებული ღირებულებისგან. გაუარესებული სესხებისთვის გამოყოფილი რეზერვების ოდენობა ეყრდნობა ბანკის მენეჯმენტის მიერ ამ აქტივების შეფასებას საბალანსო უწყისის თარიღის მდგომარეობით, მას შემდეგ რაც ხდება იმ ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობის გათვალისწინება, რაც მიიღება დაგირავებული ქონებიდან უზრუნველყოფის ამოღებისა და გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ბანკის მენეჯმენტმა სესხების გაუარესების შეფასებაში ჯეროვნად ასახა დაკორექტირებული მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადები.

ბანკის მენეჯმენტს არ შეუძლია ხელაღებით განსაზღვროს, რა გავლენას იქონიებს ბანკის სამომავლო ფინანსურ პოზიციაზე მომავალში ფინანსური ბაზრების ლიკვიდურობის პოტენციური დეფიციტი და სავალუტო და ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე მზარდი არასტაბილურობა. ბანკის მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ ის ყველა საჭირო ზომას იღებს, რათა უზრუნველყოს ბანკის საქმიანობის მდგრადობა და ზრდა არსებულ პირობებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება

მომზადების საფუძველი

ს/ს პროკრედიტ ბანკი (“ბანკი”) თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებს ამზადებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად. ბანკის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მომზადებულია საბუღალტრო აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო კომიტეტისა (IASB) და მისი წინამორბედი ორგანოს მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. ამას გარდა, გამოიყენება საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების კომიტეტისა (IFRIC) და მისი წინამორბედი ორგანოს მიერ გამოშვებული ინტერპრეტაციები.

ყველა თანხა, თუ საგანგებოდ არაა სხვა რამ მითითებული, მოცემულია ლარში და დამრგვალებულია ათასებში (“GEL”).

არ მომხდარა ისეთი სტანდარტის ნაადრევი მიღება, რომელიც ჯერ ძალაში არაა შესული.

აღრიცხვის საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების აღრიცხვის საფუძველზე, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით (IFRS) რეალური ღირებულების განსაზღვრა არ მოითხოვება. რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის “გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით”.

IFRS განსაზღვრავს ეგრეთწოდებულ რეალური ღირებულების განსაზღვრის იერარქიას, რომელიც ასახავს რეალური ღირებულების მიღების სხვადასხვა მეთოდის შედარებით სიზუსტეს:

(ა) აქტიური ბაზარი: კოტირებული ფასი (დონე 1)

აქტიურ ბაზრებზე იდენტური ფინანსური ინსტრუმენტებისთვის კოტირებულ ფასებზე დაკვირვება.

(ბ) შეფასების მეთოდი დაკვირვებადი რესურსების გამოყენებით (დონე 2)

აქტიურ ბაზრებზე მსგავსი ინსტრუმენტებისთვის დადგენილ ფასებზე დაკვირვება, ან არააქტიურ ბაზრებზე იდენტური, ან მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებულ ფასებზე დაკვირვება, ან ისეთი შეფასების მოდელის გამოყენება, სადაც ყველა მნიშვნელოვან რესურსზე შეიძლება დაკვირვება.

(გ) შეფასების მეთოდი მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი რესურსების გამოყენებით (დონე 3)

შეფასების ისეთი მოდელის გამოყენება, სადაც ერთი, ან ერთზე მეტი მნიშვნელოვანი რესურსი არ არის დაკვირვებადი.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის საუკეთესო მეთოდი ხელმისაწვდომი არაა, შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის რიგით მეორე საუკეთესო მეთოდის გამოყენება. თუ შესაძლებელია, ბანკი სამართლიან ღირებულებებს მოიპოვებს კოტირებული საბაზრო ფასებიდან; სხვა შემთხვევაში გამოიყენება შემდეგი საუკეთესო შეფასების მეთოდი, რომელიც ხელმისაწვდომია.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება (გაგრძელება)

უწყვეტი ბუღალტრული აღრიცხვისთვის რეალური ღირებულებით აღიარებული ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს მოგების ან ზარალის საფუძველზე რეალური ღირებულებით აღიარებულ ყველა ინსტრუმენტს და გასაყიდად ხელმისაწვდომ კატეგორიაში გასულ ფინანსურ ინსტრუმენტებს. საბალანსო უწყისის მუხლების შეფასების გამოყენებული მეთოდების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ სააღრიცხვო პოლიტიკებში.

ანგარიშგება და შეფასება საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე ხდება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები

შვილობილი კომპანიები (სუბსიდიები) ის კომპანიები, ან სხვა ტიპის ერთეულებია (მათ შორის საგანგებო მიზნით შექმნილი ერთეულები), რომელშიც ბანკი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს ხმის უფლების მქონე აქციების ნახევარზე მეტით, ან სხვაგვარად აქვს ძალაუფლება, რომ მართოს ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა იმგვარად, რომ მიიღოს სარგებელი. იმის შეფასებისას, აკონტროლებს თუ არა ბანკი სხვა ერთეულს, ხდება ამჟამად გამოყენებადი და კონვერტირებადი პოტენციური ხმის უფლებების არსებობისა და შედეგის გათვალისწინება. შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებულია იმ თარიღიდან, რა დღესაც ბანკმა მოიპოვა მათზე კონტროლი (შექმნის თარიღი) და დეკონსოლიდირებულია იმ თარიღიდან, როცა კონტროლი შეწყდა.

ფინანსურ ანგარიშებში არ არის შესული კომპანიებს შორის ტრანზაქციები, ბალანსები და ჯგუფურ კომპანიებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე არარეალიზებული მოგება; არაა შესული არარეალიზებული დანაკარგებიც, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხარჯების ამოღება შეუძლებელია. ბანკი და ყველა მისი შვილობილი კომპანია იყენებს ერთნაირ სააღრიცხვო პოლიტიკას, რაც შეესაბამება ბანკის პოლიტიკას და პროცედურებს.

ფინანსური აქტივები

ბანკი თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს შემდეგ კატეგორიებად: მოგების ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივები, სესხები და დებიტორული დავალიანება, და გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები. “გადახდამდე დაკავებული” კატეგორია არ არსებობს. მენეჯმენტი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს თავდაპირველი შეფასების საფუძველზე.

(ა) მოგების ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივები

ამ კატეგორიას გააჩნია ორი ქვეკატეგორია: სავაჭროდ დაკავებული ფინანსური აქტივები (“აქტივები სავაჭრო ანგარიშზე”), ე. ი. დაკავებული დერივატივები, და დასაწყისშივე მოგების ან ზარალის მიხედვით სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივები. ბანკი არ მიმართავს ჰეჯირებულ აღრიცხვას.

ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულებით აღიარება ხდება მოგების ან ზარალის საფუძველზე, როცა ისინი ცალკე პორტფელის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ, რომელიც იმართება და ფასდება სამართლიანი ღირებულების საფუძველზე დოკუმენტური რისკების მართვის, ან საინვესტიციო სტრატეგიის თანახმად. წამყვანი მენეჯმენტის წევრებისადმი ამ პორტფელზე და მასში შესულ აქტივებზე ყოველთვიური ანგარიშგება ასევე სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ხდება.

ანგარიშგებაში მოცემული სამართლიანი ღირებულება ჩვეულებრივ დაკვირვებადი საბაზრო ფასებია; ბანკი ამჯობინებს ისეთ ფასიან ქაღალდებში ინვესტირებას, რომელთათვისაც საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე დაკვირვებადია. სამართლიანი ღირებულება მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში გამოითვლება მიმდინარე დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების საფუძველზე შეფასების ტექნიკის გამოყენებით.

მოგების, ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, და ტრანზაქციის ხარჯები დანახარჯის სახით აისახება მოგების, ან ზარალის ანგარიშში. ამის შესაბამისად, ისინიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება. სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებიდან მიღებული შემოსავლის და ზარალის აღიარება დაუყოვნებლივ ხდება მოცემული პერიოდის მოგებაში, ან ზარალში, და მოგების, ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან მიღებულ საპროცენტო სარგებელთან ერთად აისახება, როგორც “მოგების, ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივებიდან მიღებული წმინდა შედეგი”.

მოგების, ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვის აღიარება ხდება გარიგების დღეს – იმ დღეს, როცა ბანკი აქტივს იყიდის, ან გაყიდის. მოგების, ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივების აღიარება უქმდება მაშინ, როცა ფინანსური აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებას ვადა ეწურება, ან როდესაც ბანკი გაასხვისებს აქტივის მესაკუთრეობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს.

(ბ) სესხები და დებიტორული დავალიანება

სესხები და დებიტორული დავალიანება წარმოადგენს არადერივაციულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული, ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ისინი წარმოიშობა მაშინ, როცა ბანკი უშუალოდ დებიტორზე გასცემს ფულს, საქონელს, ან მომსახურებას ისე, რომ მიზნად არ ისახავს დებიტორული დავალიანებით ვაჭრობას.

სესხებისა და დებიტორული დავალიანების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიან ღირებულებად (დამატებული ტრანზაქციის ხარჯები); შემდეგ ისინი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით. ყოველი საბალანსო უწყისის თარიღის მდგომარეობით და როდესაც პოტენციური გაუფასურების ნიშნები ჩანს, ბანკი აფასებს თავისი სესხებისა და დებიტორული დავალიანებების ღირებულებას. მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება შემცირდეს სარეზერვო ანგარიშის გამოყენების გამო (გაუარესებულ სესხებზე დატალური ინფორმაციისთვის იხ. შენიშვნა №10). თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ოდენობა შემცირდა, შესაბამისად შემცირდება გაუფასურებისთვის გამოყოფილი რეზერვი და შემცირებული ოდენობა ჩაითვლება მოგებაში, ან ზარალში. გაუფასურების შემცირების მაქსიმალური ზღვარი უდრის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც იარსებებდა შეფასების დღისთვის, გაუფასურება რომ არ მომხდარიყო.

სესხების აღიარება ხდება მაშინ, როცა მსესხებლებზე ხდება ძირი თანხის (კაპიტალის) წინასწარი გაცემა. სესხებისა და დებიტორული დავალიანების აღიარება წყდება მაშინ, როცა ფინანსური აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებას ვადა გაუვიდა, ან როცა ბანკი გაასხვისებს აქტივის მესაკუთრეობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება (გაგრძელება)

(ვ) გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები

გასაყიდად ხელმისაწვდომი ის აქტივებია, რომელთა დაკავება (ფლობა) განუსაზღვრელი დროითაა გამიზნული და რომლებიც შეიძლება გაიყიდოს ლიკვიდურობის საჭიროებიდან, ან საპროცენტო განაკვეთებში, გაცვლით კურსებსა, თუ აქციების ფასებში მომხდარი ცვლილებებიდან გამომდინარე.

თავდაპირველი აღიარებისას, გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები ბუღალტრულად აღიარდება სამართლიან ფასად, რომელსაც ემატება ტრანზაქციის ხარჯები. შესაბამისად, მათი ანგარიშგებისას ღირებულება სამართლიანი ღირებულებით განისაზღვრება. ანგარიშგებაში მოცემული სამართლიანი ღირებულება წარმოდგენს ან დაკვირვებად საბაზრო ფასებს, ან იმ ღირებულებას, რომელიც გამოთვლილია ამჟამინდელ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებზე დაყრდნობილი შეფასების ტექნიკით. გასაყიდად ხელმისაწვდომი აქტივების სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული მოგება და ზარალი პირდაპირ ფასდება სხვა მთლიან შემოსავლად უწყისის მუხლში “გასაყიდად ხელმისაწვდომი აქტივის გადაფასების რეზერვი”, ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტამდე, ან მის გაუფასურებამდე. ამ დროისათვის კუმულაციური მოგება, ან ზარალი, რომელიც წინათ შეტანილი იყო სხვა მთლიან შემოსავალში, ამჯერად ჩაითვლება მოგებაში, ან ზარალში, როგორც “გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივიდან მოგება, ან ზარალი”. ევექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი პროცენტი და გაცვლითი სავალუტო კურსის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი იმ მონეტარულ აქტივებზე, რომლებიც გადის გასაყიდად ხელმისაწვდომის კატეგორიაში, ჩაითვლება მოგებაში, ან ზარალში. გასაყიდად ხელმისაწვდომი წილობრივი მონაწილეობის დამადასტურებელ დოკუმენტებზე დივიდენდები აღიარებულია მოგებაში, ან ზარალში, როდესაც დადგენილია კომპანიის უფლება, რომ მიიღოს გადახდა.

გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივების შესყიდვები და გაყიდვები აღიარდება ტრანზაქციის (გარიგების) დღეს. გასაყიდად ხელმისაწვდომი აქტივების აღიარება შეწყდება მაშინ, როცა ფინანსური აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებებს ვადა ამოეწურება, ან მაშინ როდესაც ბანკს გასხვისებული აქვს აქტივის მესაკუთრეობასთან დაკავშირებული ყველა არსებითი რისკი და სარგებელი.

(ა) მოგების ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური ვალდებულებები

მოგების ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური ვალდებულებები იყოფა ორ ქვეკატეგორიად:

- “სავაჭროდ დაკავებული ვალდებულებები”, რომლებიც შედგება მხოლოდ ჰეჯირებისთვის გამოყენებული დერივატიული ფინანსური ინსტრუმენტებიდან გამომდინარე დადებითი სამართლიანი ღირებულებებისგან, მაგრამ არა როგორც ჰეჯირების ზომები საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი №39-ის თანახმად ჰეჯირების აღრიცხვის პირობებით მიხედვით.
- მოგების ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური ინსტრუმენტები.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში გადაყვანა

(ა) ბანკის საქმიანობისა (საოპერაციო) და ფინანსური ინფორმაციის წარმოდგენის ვალუტა

ბანკის თითოეული კომპანიის ფინანსურ ანგარიშებში შესული მუხლები მოცემულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტით, რომელშიც ეს კომპანია საქმიანობს (“საქმიანობის ვალუტა”). ბანკის ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარით (“GEL”), რომელიც პროგრედიტ ბანკის საქმიანობისა და ფინანსური ინფორმაციის წარმოდგენის ვალუტაა.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსები

სავალუტო ტრანზაქციების გადაყვანა საქმიანობის ვალუტაში ხდება ტრანზაქციების დღეს მოქმედი სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსო ცვლილებით გამოწვეული მოგება და ზარალი ასეთი ტრანზაქციების განხორციელებისა და წლის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გაცვლითი კურსის მიხედვით გადაყვანის შედეგად, ჩაითვლება მოგებაში ან ზარალში (ვაჭრობის შედეგი).

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული მუხლები გადაიყვანება ანგარიშგების თარიღის დახურვისას არსებული კურსით. გასაყიდად ხელმისაწვდომის კატეგორიაში გასული უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივის სამართლიანი ღირებულების შეცვლის შემთხვევაში, განირჩევა საკურსო ცვლილება ფასიანი ქაღალდის ამორტიზაციის ხარჯში მომხდარი ცვლილების შედეგად და საკურსო ცვლილება ფასიანი ქაღალდის საბალანსო ღირებულებაში მომხდარი სხვა ცვლილებების შედეგად. საკურსო ცვლილება ფასიანი ქაღალდის ამორტიზაციის ხარჯში მომხდარი ცვლილების შედეგად აისახება მოგებაში, ან ზარალში, ხოლო საკურსო ცვლილება ფასიანი ქაღალდის საბალანსო ღირებულებაში მომხდარი სხვა ცვლილებების შედეგად აისახება სხვა ერთიან მოგებაში.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ისტორიული ხარჯით შეფასებული არამონეტარული მუხლები გადაიყვანება თავდაპირველი აღიარების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით.

გაცვლითი კურსები

საბალანსო უწყისის მუხლებისთვის გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შემდეგი ოფიციალური სავალუტო კურსები:

| | 31 დეკემბერი, 2009 წ | 31 დეკემბერი, 2008 წ |
|-----------------|----------------------|----------------------|
| GEL/1 US Dollar | 1.6858 | 1.6670 |
| GEL/1 Euro | 2.4195 | 2.3648 |

ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტები

საბალანსო უწყისის მიზნებისათვის ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, შეძენის დღიდან სამ თვეზე ნაკლები ვადის ნაშთებს ცენტრალურ ბანკებში, როცა მათი დისკონტირება შეიძლება, სხვა მოკლევადიან ინვესტიციებს,

რომლებიც ლიკვიდური და სწრაფად კონვერტირებადია გარკვეულ ფულად თანხად ღირებულების შეცვლის უმნიშვნელო რისკით, და სადეპოზიტო სერტიფიკატებს.

ზოგადად, ყველა ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტის ერთეული ნომინალური ღირებულებით აისახება. სახაზინო ვექსილები და სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები, რომლებიც ითვლება ნაღდი ფულის ეკვივალენტად, გადის გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივების კატეგორიაში და ფასდება სამართლიანი ღირებულებით.

ფულადი სახსრების მიმოქცევის ანგარიშგების მიზნებით, ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტები მოიცავს შექმნის დღიდან სამ თვეზე ნაკლები ვადის ნაშთებს, მათ შორის: ნაღდ ფულს და საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებულ შეუზღუდავ ნაშთებს, უგირავნო სახაზინო ვექსილებსა და სხვა ბანკებისაგან მისაღებ თანხებს.

სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტი საქართველოს ეროვნულ ბანკში. სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები საქართველოს ეროვნულ ბანკში აისახება ამორტიზირებული ღირებულებით და წარმოადგენს უპროცენტო (საპროცენტო სარგებლის არმომტან) სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებს, რომლებიც არ არის ხელმისაწვდომი ბანკის ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად.

სესხები და დებიტორული დავალიანება

კლიენტებისგან მისაღები დებიტორული დავალიანება ძირითადად გულისხმობს გაცემულ სესხებსა და ავანსებს.

ძალიან მოკლევადიანი (ერთდღიანი) და ვადიანი ანაბრების გარდა, ბანკებისგან მისაღები დებიტორული დავალიანების ჯგუფში გაწერილი თანხები მოიცავს მიმდინარე ანგარიშების ნაშთებსაც.

ბანკებისგან მისაღები ყველა სესხი და დებიტორული დავალიანება, ასევე კლიენტებისგან მისაღები სესხები და დებიტორული დავალიანებები გაერთიანებულია კატეგორიაში “სესხები და დებიტორული დავალიანება” და აისახება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზირებული პრემიები და დისკონტები შეიტანება შესაბამისი პერიოდების მოგებაში, ან ზარალში, როგორც წმინდა საპროცენტო შემოსავლის ნაწილი. სესხების გაუფასურების აღიარება ხდება ცალკე სარეზერვო ანგარიშებზე (იხ. შენიშვნა 10).

ფულადი სახსრების მიმოქცევის ანგარიშგების მიზნით, ბანკებისადმი მოთხოვნები, რომელთა დარჩენილი ვადა შექმნის დღიდან სამ თვეზე ნაკლებია, აღიარებულია ნაღდ ფულად, ან ნაღდი ფულის ეკვივალენტად (იხ. შენიშვნა 7).

სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვები და ავანსები და გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივების გაუფასურება

სესხებისა და ავანსების გაუფასურება

ბანკი საბაღანსო უწყისის ყოველი თარიღით ამოწმებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივის, ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური ნიშნები. თუ არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ სესხი, ან სასესხო პორტფელი გაუფასურდა, რაც გავლენას მოახდენს ამ ფინანსური აქტივ(ებ)ზე სამომავლო ფულად ნაკადებზე, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს შესაბამისი ზარალის აღიარება. სესხის

ზომიდან გამომდინარე, ასეთი ზარალი ან ინვიდიდუალურად გამოითვლება თითოეულ სესხზე, ან ერთობლივად შეფასდება სესხების პორტფელზე. სესხის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით და ზარალის თანხის აღიარება ხდება მოგებაში, ან ზარალში. ბანკი არ აღიარებს ზარალს მომავალში მოსალოდნელი მოვლენებიდან.

• ინდივიდუალურად შეფასებული სესხები და ავანსები

მნიშვნელოვანი სესხების გაუფასურება ინდივიდუალურად ფასდება. ასეთი სესხებისთვის ფასდება, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, ე.ი. ის ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ კლიენტის მიერ ბანკისადმი კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდის ვალდებულების შესრულებაზე.

ამასთან ერთად, კლიენტზე გაცემული საერთო სესხისა და დაკავებული უზრუნველყოფის რეალიზებადი ღირებულების გათვალისწინება ხდება გაუფასურების (შესაძლო დანაკარგების) რეზერვის შექმნისას.

თუკი არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ სესხის გაუფასურება მოხდა, ზარალის ოდენობა გაიზომება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის (სპეციფიური გაუფასურება).

უზრუნველყოფილ ფინანსურ აქტივზე მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა ასახავს იმ ფულად ნაკადებს, რომლებიც შეიძლება მიიღებოდეს დაგირავებულ ქონებაზე უფლების დაკარგვას გამოკლებული უზრუნველყოფის ამოღებისა და გაყიდვის ხარჯები.

• ერთობლივად შეფასებული სესხები და ავანსები

სესხების გაუფასურება ერთობლივად ფასდება ორ შემთხვევაში:

- ცალკე აღებული (ინდივიდუალური) უმნიშვნელო სესხები, რომლებიც გაუფასურების ობიექტურ ნიშნებს ავლენენ,
- სესხების ჯგუფი, რომელიც არ ავლენს გაუფასურების ნიშნებს, რათა დაიფაროს ყველა დანაკარგი, რაც უკვე გასწია ბანკმა, მაგრამ რომელიც არ იყო აღმოჩენილი სესხების ინდივიდუალურად განხილვისას.

ინდივიდუალური უმნიშვნელო სესხების გაუფასურების შეფასების მიზნით სესხები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკების მახასიათებლების საფუძველზე, ანუ ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის მიხედვით. 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება გაუფასურების ნიშნად ითვლება. ეს მახასიათებელი მნიშვნელოვანია ასეთი აქტივიდან სამომავლო ფულადი ნაკადების გამოსათვლელად, მსგავსი მახასიათებლების მქონე სესხებზე ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დაყრდნობით.

ცალკე განსახილველად უმნიშვნელო სესხებისა და ფინანსური აქტივების ჯგუფში გასული არაგაუფასურებული მნიშვნელოვანი სესხების (ჯამური შეფასება) გაუფასურების ერთობლივი შეფასება ეყრდნობა რისკების მსგავსი მახასიათებლების და დაახლოებით მსგავსი რისკის პროფილის მქონე სასესხო პორტფელების დეფოლტის ისტორიული მაჩვენებლის რაოდენობრივ ანალიზს.

იმ ფინანსური აქტივების ჯგუფის სამომავლო ფულადი ნაკადების, რომელთა გაუფასურებაც ჯამურად ფასდება, გამოითვლება ამ ჯგუფში შემავალ აქტივებზე

საკონტრაქტო ფულადი ნაკადებისა და მსგავსი საკრედიტო რისკების მახასიათებლების მქონე აქტივებზე ისტორიული ზარალის გამოცდილების საფუძველზე. ისტორიული ზარალის გამოცდილება კორექტირდება არსებული დაკვირვებადი მონაცემების საფუძველზე, რათა აისახოს იმ პერიოდისთვის არსებული პირობების გაგენა, რომელსაც ეყრდნობა ისტორიული ზარალის გამოცდილება და რათა არ მოხდეს ისტორიულ პერიოდში დღეისათვის არარსებული პირობების შედეგების გათვალისწინება. სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდები და დაშვებები რეგულარულად გადაისინჯება ბანკის მიერ, რათა შეამციროს ნებისმიერი განსხვავებები პროგნოზირებულ და რეალურ ზარალს შორის.

თუ ბანკი გადაწყვეტს, რომ გაუფასურების ობიექტური ნიშნები არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებულ ფინანსურ აქტივზე, განურჩევლად იმისა, ეს აქტივი მნიშვნელოვანია, თუ არა, იგი აქტივს შეიყვანს ანალოგიური საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და ერთობლივად შეაფასებს მათ გაუფასურებას (გაუფასურება ერთობლივად შეფასებული სესხების შემთხვევაში).

გაუფასურების აღდგენა

თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგის ოდენობა შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას, მანამდე აღიარებული გაუფასურების დანაკარგი აღდგება რეზერვის ანგარიშის დაკორექტირებით. აღდგენილი თანხის აღიარება ხდება მოგებაში, ან ზარალში.

სესხებისა და ავანსების ჩამოწერა

როცა სესხი ჩამოიწერება შიდა პოლიტიკის მიხედვით, ის ჩამოიწერება სესხზე შესაძლო დანაკარგებისთვის გამოყოფილი შესაბამისი რეზერვის ხარჯზე. ასეთი სესხები ჩამოიწერება მას შემდეგ, რაც შესრულდება ყველა აუცილებელი პროცედურა და განისაზღვრება დანაკარგის ოდენობა. უკვე ჩამოწერილი თანხების შედგომი ამოღება ამცირებს სესხზე შესაძლო დანაკარგისთვის გამოყოფილი რეზერვის ოდენობას მოგებაში, ან ზარალში.

რესტრუქტურული სესხები

რესტრუქტურული სესხები, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვნად ითვლება ცალ-ცალკე რეზერვდება. დანაკარგის ოდენობა ფასდება, როგორც განსხვავება რესტრუქტურული სესხის საბალანსო ღირებულებასა და სესხის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის (სპეციფიური გაუფასურება). ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე რესტრუქტურული სესხების გაუფასურება ჯამურად ფასდება.

ამოღებული უზრუნველყოფა. ამოღებული უზრუნველყოფა წარმოადგენს ბანკის მიერ ვადაგადაცილებული სესხების ამოსაღებად მოპოვებულ ფინანსურ და არაფინანსურ აქტივს. ეს აქტივები თავდაპირველად შექმნილას აღიარებულია სამართლიან ღირებულებად და შედის “სხვა აქტივების” მუხლში, როგორც შენობები და აღჭურვილობა, სხვა ფინანსურ აქტივები, ან ინვენტარი, იმისდა მიხედვით, თუ რა ტიპის აქტივია და რა მიზნით ამოიღო ის ბანკმა. ხოლო შემდეგ ხელახლა შეფასდება და ბუღალტრულად გატარდება მოცემული კატეგორიის აქტივებისათვის გათვალისწინებული საადრიცხვო პოლიტიკის მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება (გაგრძელება)

გასაყიდად ხელმისაწვდომის კატეგორიაში გასული აქტივების გაუფასურება

ბანკი ყოველი საბალანსო უწყისის თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. იმის გასარკვევად, არის თუ არა გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივი გაუფასურებული, გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები:

- მსესხებლის გადახდისუნარიანობის გაუარესება, ან მისი მხრიდან უარი, რომ შეასრულოს ვალდებულება
- პოლიტიკური ვითარება, რომელმაც შეიძლება მსესხებლის კრედიტუნარიანობაზე მნიშვნელოვნად იმოქმედოს
- სხვა მოვლენები, რომლებიც ნაკლებად სავარაუდოდ ხდის საბალანსო ღირებულების ამოღებას/აღდგენას

გასაყიდად ხელმისაწვდომის კატეგორიაში გასული სააქციონერო ინვესტიციების შემთხვევაში, იმის გასარკვევად, აქტივები გაუფასურდა თუ არა, გასათვალისწინებელია, იკლო თუ არა ფასიანი ქაღალდის სამართლიანმა ღირებულებამ მნიშვნელოვნად ან ხანგრძლივად და შეადგინა თუ არა მის ხარჯზე ნაკლები ოდენობა. თუ რომელიმე ეს ნიშანი არსებობს – რომელიც იზომება, როგორც განსხვავება შეძენის ფასსა და ამჟამინდელ სამართლიან ღირებულებას შორის, გამოკლებული ყოველგვარი გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგი ფინანსურ აქტივზე, რომელიც თავდაპირველად აღიარებული იყო მოგებაში, ან ზარალში - ჯამური დანაკარგი ჩამოიწერება მთლიანი მოგებიდან და აისახება მოგებაში, ან ზარალში.

კაპიტალის ინსტრუმენტზე მოგებაში, ან ზარალში აღიარებული გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგი მომავალში აღარ აღდგება მოგების ან ზარალის საფუძველზე. თუ მომდევნო პერიოდში გასაყიდად ხელმისაწვდომის კატეგორიაში შეტანილი სავალო ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება გაიზარდა და ეს ზრდა ობიექტურად იქნება დაკავშირებული მოგებაში, ან ზარალში გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენასთან, გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგი აღდგება მოგებაში, ან ზარალში.

ბანკი ინვესტიციებს ძირითადად ახორციელებს სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში ფიქსირებული, ან ცვალებადი საპროცენტო განაკვეთებით. ამ ინვესტიციების გაუფასურების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ობიექტური მტკიცებულება არსებობს იმისა, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია, ან უარს ამბობს ამ ვალდებულებების შესრულებაზე.

დერივატიული ფინანსური ინსტრუმენტები

დერივატივების პირველადი აღიარება ხდება გაცემული (ფინანსური აქტივის შეძენისას), ან მიღებული ანაზღაურების (ფინანსური ვალდებულებების აღებისას) სამართლიან ღირებულებად. ამის შედეგად, დერივატივების გადაფასება ხდება სამართლიან ღირებულებად. თუ შესაძლებელია, სამართლიანი ღირებულებების მოპოვება ხდება კოტირებული ბაზრებიდან, ან ბოლოდროინდელი საბაზრო ტრანზაქციებიდან. სხვა შემთხვევებში მათი შეფასება ხდება დისკონტირებული ნაღდი ფულის მოდულების საშუალებით, ან ოპციების ფასდადების მოდულებისგან, რომელიც უფრო მოსახერხებელია. დადებითი სამართლიანი ღირებულების მქონე დერივატივები ბალანსში

აისახება, როგორც ფინანსური აქტივი და მათი ანგარიშგება ხდება სახელწოდებით “მოგების, ან ზარალის საფუძველზე სამართლიან ღირებულებად აღიარებული ფინანსური აქტივები”. უარყოფითი სამართლიანი ღირებულების მქონე დერივატივები ბალანსში აისახება, როგორც ფინანსური ვალდებულებები და მათი ანგარიშგება ხდება სახელწოდებით “მოგების, ან ზარალის საფუძველზე სამართლიან ღირებულებად აღიარებული ფინანსური ვალდებულებები”.

ყველა დერივატივის შემთხვევაში სამართლიანი ღირებულების მოგების ან ზარალის აღიარება დაუყოვნებლივ ხდება მოგებაში, ან ზარალში. ბანკში დერივატივები გამოიყენება რისკების ჰეჯირებისთვის, ე.ი. საპროცენტო რისკებისა და სავალუტო რისკებისთვის, მაგრამ ბანკი არ მიმართავს ჰეჯირებულ ბუღალტრულ აღრიცხვას.

არამატერიალური აქტივები

შექმნილი კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიების კაპიტალიზაცია ხდება ამ კონკრეტული სოფტვერის შექმნის და მოქმედებაში მოყვანისთვის გაწეული ხარჯების მიხედვით. ამ ხარჯების ამორტიზაცია ხდება მოსალოდნელი საქსპლუატაციო პერიოდის საფუძველზე. სოფტვერის ექსპლუატაციის მაქსიმალური ვადა ხუთი წელია. განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუ ლიცენზიებს გააჩნიათ პროგრამული გარანტია, ექსპლუატაციის ვადა შეიძლება წელს შეადგენს.

ქონება, მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა

მიწა და შენობა-ნაგებობები ძირითადად გულისხმობს ფილიალებს და ოფისებს. ყველა ქონება, მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა მოცემულია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დარიცხული ცვეთა და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები. ისტორიული ღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რაც უშუალოდ უკავშირდება ამ აქტივის შექმნას. აქტივის შემადგენელი ნაწილების ცალკე აღიარება ხდება მაშინ, თუ მათ სხვადასხვაგვარი გამოსადეგობის პერიოდი აქვთ და სხვადასხვა ფორმით მოაქვთ სარგებელი საწარმოსთვის.

შემდგომი ხარჯები ან შედის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარებულია, როგორც ცალკე აქტივი მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იმის ალბათობა, რომ ბანკი მომავალში მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს და ამ აქტივის ღირებულების შეფასება საიმედოდ ზუსტია. ყველა სხვა შეკეთების/გამართვის და მოვლის ხარჯები აისახება იმ ფინანსურ პერიოდის მოგებაში, ან ზარალში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

მიწა ცვეთას არ ექვემდებარება. სხვა აქტივების ცვეთა გამოითვლება ცვეთის თანაბრად დარიცხვის მეთოდით, რითაც მათი ღირებულება ნაწილდება შემდეგი წლიური განაკვეთით, ნარჩენ ღირებულებამდე:

- | | |
|---|----------|
| – შენობა-ნაგებობები და სხვა უძრავი ქონება | 2% |
| – საოფისე და კომპიუტერული აღჭურვილობა | 20%- 25% |
| – სხვა | 20% |

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულება და ექსპლუატაციის პერიოდი გადაისინჯება, საჭიროებისამებრ დაკორექტირდება საბალანსო უწყისის ყოველი თარიღის მდგომარეობით.

როგორც ცვეთას დაქვემდებარებული აქტივის, ასევე მიწის ღირებულების გაუფასურება მოწმდება, როდესაც მოვლენები, ან ცვლილებები გარემოებებში მიანიშნებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს აღდგენითი. აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ დაიყვანება აღდგენით ოდენობამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის პროგნოზირებულ აღდგენით ღირებულებას. აღდგენითი ღირებულება აქტივის გაყიდვის ხარჯების გამოქვითვის შემდგომ სამართლიან ღირებულებასა და ექსპლუატაციის ღირებულებას შორის უფრო მაღალი ღირებულებაა.

გასხვისების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებით შედარებით. ისინი აისახება მოგებაში, ან ზარალში.

ბანკი არ ფლობს საინვესტიციო საკუთრებას.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ექსპლუატაციის განუსაზღვრელი ვადის მქონე აქტივები არ ცვდება გეგმიურად, მაგრამ ყოველწლიურად მოწმდება, გაუფასურდა თუ არა.

ცვეთას დაქვემდებარებული აქტივები მოწმდება გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად, როცა მოვლენები, ან ცვლილებები გარემოებებში მიანიშნებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს აღდგენითი. გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგის აღიარება ხდება იმ თანხაზე, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შეფასების მიზნით აქტივები ჯგუფდება ისეთ უმცირეს დონეებად, რომლებზეც არსებობს ისეთი ნაღდი ფულის ნაკადები, რომელთა ცალ-ცალკე აღრიცხვა ბუღალტრულად შესაძლებელია (ფულადი სახსრების გენერირებადი ერთეულები).

არაფინანსური აქტივები “გუდვილის” გამოკლებით, რომლებიც გაუფასურდა, განიხილება გაუფასურების შესაძლო აღდგენისთვის ყოველ ანგარიშგების დღეს.

საშემოსავლო გადასახადი

მიმდინარე საშემოსავლო გადასახადი

მოგებაზე გადასახადელი საშემოსავლო გადასახადი გამოითვლება ქვეყნის იურიდიქციის მოქმედი საგადასახადო კანონის მიხედვით და აისახება, როგორც იმ პერიოდის ხარჯი, რომელშიც წარმოიშვა ეს მოგება.

გადავადებული საშემოსავლო გადასახადი

გადავადებული საშემოსავლო გადასახადი მთლიანად არის მოცემული საბალანსო უწყისის ვალდებულების მეთოდის გამოყენებით, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზებსა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებში მათ საბალანსო ღირებულებებს შორის დროებითი განსხვავებებზე. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები განისაზღვრება საგადასახადო განაკვეთებით (და კანონებით), რომლებიც ძალაშია საბალანსო უწყისის თარიღის მდგომარეობით და რომლებიც მომავალში გამოიყენება გადავადებული საშემოსავლო გადასახადის აქტივის რეალიზების, ან გადავადებული საშემოსავლო გადასახადის ვალდებულების შესრულებისას. დროებითი განსხვავებები ძირითადად წარმოიშობა ქონების, მანქანა-დანადგარების და აღჭურვილობის ცვეთისგან, გარკვეული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების, მათ შორის, დერივატიული კონტრაქტების გადაფასებისგან, და საგადასახადო ზარალის მომავალ პერიოდზე გადატანისგან. მიუხედავად ამისა, გადავადებული საშემოსავლო გადასახადის აღრიცხვა არ ხდება, თუ ის წარმოიშობა ტრანზაქციის აქტივის, ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარების შედეგად, გარდა

ბიზნესის გაერთიანების შემთხვევისა, რომელიც, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ტრანზაქციის დროისათვის გავლენას არ ახდენს არც საანგარიშგებო პერიოდის მოგებაზე (დაბეგვრამდელი) და არც დაბეგვრად მოგებაზე, ან ზარალზე.

შემდეგ პერიოდზე გადასატანი საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრით გამოწვეული ზარალი ჩაითვლება გადავადებულ საგადასახადო აქტივად, როცა სავარაუდოდ ხელმისაწვდომი იქნება მომავალი დაბეგვრადი მოგება, რომელზეც შეიძლება ამ ზარალის გამოყენება.

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც სავარაუდოდ ხელმისაწვდომი იქნება მომავალი დაბეგვრადი მოგება, რომელზეც შეიძლება დროებითი განსხვავებების გამოყენება.

გასაყიდად ხელმისაწვდომი ინვესტიციების სამართლიანი ღირებულებით გადაფასებასთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი, რომელიც პირდაპირ მთლიან მოგებაში აისახება (დებეტირდება), ასევე ჩაითვლება სხვა მთლიანი მოგების საკრედიტო, ან სადებეტო ანგარიშზე და ამის შემდეგ ხდება მისი შეტანა მოგებაში, ან ზარალში გადავადებულ მოგებასთან, ან ზარალთან ერთად. საინფორმაციო მიზნებისთვის, ფინანსური ინფორმაცია მოცემულია რიცხვებში გადასახადის გამოკლებამდე.

ბანკს მუდმივად აქვს საგადასახადო განსხვავებები იმის გამო, რომ ზოგი ხარჯიდან გადასახადი არ გამოიქვითება და ასევე გარკვეული ტიპის მოგებებზე გადასახადი არ ვრცელდება. გადავადებული გადასახადები ასახავს აქტივებისა და ვალდებულებების ფინანსური ანგარიშგების მიზნით განსაზღვრულ საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო მიზნით გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი განსხვავებების წმინდა საგადასახადო შედეგს.

ვალდებულებები ბანკებისა და კლიენტების მიმართ და სხვა ნასესხები თანხები

ვალდებულებები ბანკებისა და კლიენტებისადმი და სხვა ნასესხები თანხები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიან ღირებულებად, რომლიდანაც გამოკლებულია ტრანზაქციაზე გაწეული ხარჯები. ნასესხები თანხები შემდეგ მოცემულია ამორტიზირებული ღირებულებით; ნებისმიერი განსხვავება შემოსავლებს (გამოკლებული ტრანზაქციის ხარჯები) და გამოსასყიდ ღირებულებას შორის აღიარებულია მოგებაში, ან ზარალში სესხების ვადაზე/პერიოდზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი ამოიწურება, ანუ როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება, ან მას ვადა გაუვა.

რეზერვები გარასაბალანსო მუხლებისთვის

რეზერვების აღიარება ხდება, თუ

- ამჟამად არსებობს წარსული მოვლენებით განპირობებული სამართლებრივი, ან კონსტრუქციული ვალდებულება;
- დიდი ალბათობაა იმისა, რომ სახსრების გადინება გახდება საჭირო ვალდებულების შესასრულებლად;
- თანხის საიმედო სიზუსტით განსაზღვრა არის შესაძლებელი.

თუ არსებობს რამდენიმე მსგავსი ვალდებულება, იმის ალბათობა, რომ მის შესასრულებლად საჭირო გახდეს სახსრების გადინება, განისაზღვრება ვალდებულებების მთლიანი ჯგუფის განხილვით.

რეზერვები, რომელთათვისაც სახსრების გადინების დრო ცნობილია, ფასდება დანახარჯების დღევანდელი ღირებულებით, თუ გადინება მომდევნო ერთი წლის განმავლობაში არ მოხდება. ვალდებულების დღევანდელი ღირებულების ზრდა დროის გასვლის გამო აისახება, როგორც საპროცენტო ხარჯი.

პირობითი ვალდებულები, რომლებიც ძირითადად შედგება კლიენტების მიერ გაცემული გარკვეული გარანტიებისგან და აკრედიტივებისგან, არის წარსულში მომხდარი მოვლენებისგან წარმოშობილი შესაძლო ვალდებულებები. რადგანაც მათი მოხდენა-არმოხდენა დამოკიდებულია გარკვეულ მოვლენებზე მომავალში, რომლებიც ბანკის კონტროლს სრულად არ ექვემდებარება, მათი აღიარება ფინანსურ ანგარიშებში არ ხდება, არამედ აისახება გარე ბალანსში თუ ამ ვალდებულებების შესრულების ალბათობა ძალიან შორეული არაა.

ფინანსური გარანტიის კონტრაქტები

ფინანსური გარანტიის კონტრაქტები წარმოადგენს ისეთ კონტრაქტებს, რომლებიც გამცემისგან მოითხოვს საგანგებო გადახდებს, რომ მფლობელს აუნაზღაუროს ის ზარალი, რაც მან გასწია კონკრეტული დებიტორის მიერ დათქმულ დროს ვერგადახდის გამო, სავალს ინსტრუმენტის პირობების თანახმად. ასეთი ფინანსური გარანტიები გაიცემა ბანკებზე, ფინანსურ ინსტიტუტებსა და სხვა დაწესებულებებზე კლიენტების სახელით სესხების, ოფერდრაფტებისა და სხვა საბანკო პროდუქტების უზრუნველსაყოფად.

ფინანსური გარანტიების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით იმ თარიღით, რა დღესაც გაიცა გარანტია. პირველადი აღიარების შემდეგ, გარანტიით ნაკისრი ბანკის ვალდებულებები ფასდება თავდაპირველ შეფასებაზე უფრო მაღალ ფასად, რომლიდანაც იქვეთება დარიცხული ცვეთა, რათა მოგებაში, ან ზარალში მოხდეს საგარანტიო პერიოდში თანაბარზომიერად მიღებული საკომისიო შემოსავლის აღიარება და საბალანსო უწყისის თარიღის მდგომარეობით წარმოშობილი ნებისმიერი ფინანსური ვალდებულების შესასრულებლად საჭირო დანახარჯის საუკეთესო გათვლა. ეს გათვლები განისაზღვრება მენეჯმენტის გადაწყვეტილებით ანალოგიური ტრანზაქციებიდან მიღებულ გამოცდილებასა და ისტორიულ დანაკარგებზე დაყრდნობით.

გარანტიებთან დაკავშირებულ ვალდებულებებში ნებისმიერი ზრდა ჩაითვლება მოგებაში, ან ზარალში “სხვა საოპერაციო ხარჯების” სახელწოდებით.

სუბორდინირებული სესხი

სუბორდინირებული სესხი ძირითადად მოიცავს აქციონერებისადმი და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისადმი ვალდებულებებს, რომლებიც არგადახდის, ან ლიკვიდაციის შემთხვევაში მხოლოდ მაშინ დაიფარება, როცა ჯერ ყველა არასუბორდინირებული კრედიტორი დაკმაყოფილდება. ადრე გადახდის ვალდებულება არ არსებობს.

შესყიდვის ღირებულებად თავდაპირველი აღიარების შემდეგ სუბორდინირებული სესხის აღიარება ხდება ამორტიზირებულ ღირებულებად. პრემიები და დისკონტები ჩაითვლება შესაბამისი პერიოდების მოგებაში, ან ზარალში “წმინდა საპროცენტო შემოსავლის” სახელწოდებით.

საკუთარი კაპიტალი

ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდების აღიარება ხდება საკუთარ კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც ისინი დამტკიცდა კომპანიის აქციონერების მიერ.

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი ყველა პროცენტის მომტანი ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, გარდა მოგებისა და ზარალის საფუძველზე სამართლიან ღირებულებად შეფასებულ კატეგორიულში გასული ინსტრუმენტებისა, აისახება მოგებაში, ან ზარალში, როგორც “საპროცენტო შემოსავალი და “საპროცენტო ხარჯი” ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავლისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში, ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდზე, როცა ისინი წარმოიშვა.

როდესაც ფინანსური აქტივი, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფი ჩამოიწერება გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება მოხდება საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომლითაც მოხდა სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირება გაუფასურებით გამოწვეული ზარალის შეფასების მიზნით. ჩამოწერილ სესხებთან დაკავშირებით მიღებული გადახდების აღიარება არ ხდება წმინდა საპროცენტო შემოსავალში.

ნასესხები სახსრების ხარჯების კაპიტალიზაცია

ნასესხები სახსრების ხარჯები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის შექმნას, დამუშავებას, ან წარმოებას, რომელიც არ არის გატარებული სამართლიანი ღირებულებით და რომელიც აუცილებლად საჭიროებს დროის გარკვეულ პერიოდს დანიშნულებისამებრ მოხმარებისთვის მოსამზადებლად, თუ კაპიტალიზაციის დაწყების თარიღი არის 2009 წლის 1 იანვარი, ან უფრო გვიან. სხვა ხარჯები ნასესხებ სახსრებზე აისახება ხარჯად ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ბანკი კაპიტალიზაციას ახდენს ნასესხებ სახსრებზე იმ ხარჯებისა, რომელთა თავიდან არიდება მოხერხდებოდა, ბანკს რომ კაპიტალური დანახარჯები არ გაეწია კვალიფიციურ აქტივებზე. კაპიტალიზაციის დაწყების თარიღია, როცა (ა) ბანკი გასწევს დანახარჯებს კვალიფიციურ აქტივზე; (ბ) გასწევს ხარჯებს ნასესხებ თანხებზე; და (გ) მიიღებს ზომებს, რომელიც საჭიროა აქტივის მოსამზადებლად დანიშნულებისამებრ მოსახმარებლად, ან გასაყიდად. კაპიტალიზაცია წყდება მაშინ, როდესაც კვალიფიციური აქტივის დანიშნულებისამებრ მოსახმარებლად, ან გასაყიდად განხორციელებული ყველა საქმიანობა დასრულდება. პროცენტი, ან სხვა შემოსავალი ინვესტიციიდან არ გამოიქვითება კაპიტალიზაციისათვის ხელმისაწვდომი ნასესხები სახსრების ხარჯების თანხის მისაღებად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ბანკი მიიღებს სპეციფიურ ნასესხებ სახსრებს კვალიფიციური აქტივის შექმნის მიზნით, და გააჩნია საინვესტიციო შემოსავალი ასეთი სპეციფიური სესხებით მიღებული ფულადი სახსრების დროებითი ინვესტიციიდან.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება (გაგრძელება)

საკომისიო შემოსავალი და ხარჯები

საკომისიო შემოსავლისა და ხარჯების აღიარება ხდება აღრიცხვის დარიცხვის მეთოდით, როდესაც გაიწევა მომსახურება.

სასესხო ვალდებულების საკომისიო იმ სესხებზე, რომლებიც სავარაუდოდ ჩამოიწერება, გადავადებულია (დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად) და აღიარებულია, როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაკორექტირება. ბანკთა ჯგუფის მიერ გარანტირებული სესხების საკომისიო ჩაითვლება შემოსავლად მაშინ, როდესაც გაერთიანების დასრულების შემდეგ ბანკი არ შეინარჩუნებს სასესხო პორტფელის ნაწილს თავისთვის, ან იმავე ეფექტურ საპროცენტო განაკვეთად შეინარჩუნებს ისეთივე ნაწილს, როგორსაც სხვა მონაწილეები.

4. დაშვებები და პროგნოზები

ბანკის ფინანსურ ანგარიშგებასა და ფინანსურ შედეგზე გავლენას ახდენს სააღრიცხვო პოლიტიკები, დაშვებები, პროგნოზები და მენეჯმენტის გადაწყვეტილება, რაც აუცილებლად უნდა გაკეთდეს ფინანსური უწყისების მომზადების პროცესში.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით სავალდებულო ყველა დაშვება და პროგნოზი წარმოადგენს ძალაში მყოფი სტანდარტის შესაბამისად გაკეთებულ საუკეთესო შეფასებას. პროგნოზები და გადაწყვეტილებები ფასდება მუდმივად და ეყრდნობა წარსულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მოლოდინს სამომავლო მოვლენებთან დაკავშირებით და ითვლება მიზანშეწონილად მოცემულ პირობებში.

საბუღალტრო პოლიტიკა და მენეჯმენტის გადაწყვეტილება გარკვეულ მუხლებზე განსაკუთრებით კრიტიკული მნიშვნელობისაა ბანკის შედეგებისათვის და ფინანსური მდგომარეობისთვის, მათი რაოდენობრივად მნიშვნელოვანი მოცულობის გამო. ეს ეხება სესხებზე შესაძლო დანაკარგებისთვის შექმნილ რეზერვებსაც. რეალური დანაკარგების 10%-იანი ზრდა ან კლება, ზარალის ერთიან პროგნოზთან შედარებით განაპირობებს სესხების გაუფასურებით გამოწვეული 1 222 000 ლარის ზარალის გაზრდას ან შემცირებას (2008 წ.: 1 379 000 ლარი), შესაბამისად. გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხების შემთხვევაში ეყრდნობა ინდივიდუალური სესხების დისკონტირებული, სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადების, სესხების დაფარებისა და სესხების უზრუნველსაყოფად ჩადებული ნებისმიერი ქონების რეალიზაციის გათვალისწინებით. რეალური დანაკარგების 10%-იანი ზრდა ან კლება, ინდივიდუალურად შეფასებულ მნიშვნელოვან სესხებზე სამომავლოდ პროგნოზირებულ დისკონტირებულ ფულად ნაკადებთან შედარებით, რაც შეიძლება წარმოიშვეს ფულადი ნაკადების თანხებსა და დროში განსხვავებების გამო, განაპირობებს სესხების გაუფასურებით გამოწვეული 440 000 ლარის ზარალის გაზრდას ან შემცირებას (2008 წ.: 682 000 ლარი), შესაბამისად.

ამ ფინანსური ანგარიშების მოსამზადებლად გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები მოცემულია ზემოთ. ეს პოლიტიკები მუდმივად გამოიყენებოდა ყველა წარმოდგენილ წელიწადზე, თუ საგანგებოდ სხვა რამ არ იყო მითითებული.

ბანკის ფისკალური წელი კალენდარული წელიწადია.

5. ცვლილებები ფას სტანდარტებში და მათი ინტერპრეტაცია

2009 წლის იანვრიდან ძალაში შევიდა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ბანკმა უნდა დააკმაყოფილოს.

IFRS 8, საოპერაციო სეგმენტები. ეს სტანდარტი ვრცელდება იმ კომპანიებზე, რომელთა სავალო, ან კაპიტალის ისტრუმენტებით ვაჭრობა ხდება საჯარო ბაზარზე, რომლებმაც წარადგინეს, ან ახლა წარადგენენ ფინანსურ უწყისებს მარეგულირებელ ორგანიზაციაში საჯარო ბაზარზე რომელიმე კლასის ინსტრუმენტების გამოშვების მიზნით. IFRS 8-ის მიხედვით კომპანიამ უნდა წარმოადგინოს ფინანსური და აღწერითი ინფორმაცია თავისი საოპერაციო სეგმენტების შესახებ, და სეგმენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი

უნდა იყოს სწორედ ისე, როგორც წარმოდგენილია შიდა სააღრიცხვო მიზნებისათვის. ბანკს არ ესაჭიროება სეგმენტების მიხედვით ანგარიშგების წარმოდგენა.

IAS 23, ნასესხები სახსრების ხარჯი, შეცვლილი 2007 წლის მარტში ძირითადი ცვლილება გულისხმობს იმ ალტერნატივის გაუქმებას, რომლის მიხედვითაც ხდებოდა იმ ნასესხები სახსრების ხარჯების დაუყოვნებლივ აღიარება ხარჯებად, რაც უკავშირდება აქტივებს, რომლებიც საკმაოდ დროს საჭიროებენ ექსპლუატაციისთვის, ან გაყიდვისთვის მოსამზადებლად. ნასესხები სახსრების ხარჯი, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის შექმნას, დამუშავებას, ან წარმოებას, რომელიც არ აისახება სამართლიან ღირებულებად და რომელიც აუცილებლად საჭიროებს საკმაოდ დროს დანიშნულებისამებრ მოსახმარებლად, ან გასაყიდად (კვალიფიციური აქტივი), წარმოადგენს ამ აქტივის ღირებულების ნაწილს, თუ კაპიტალიზაციის დაწყების თარიღი არის 2009 წლის პირველი იანვარი, ან უფრო გვიან. სხვა ნასესხები სახსრების ხარჯების აღიარება ხდება ხარჯად ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

IAS 1, ფინანსური ანგარიშების წარმოდგენა, 2007 წლის სექტემბრის ცვლილება. IAS 1-ში შესული ძირითადი ცვლილება წარმოადგენს მოგება-ზარალის უწყისის ჩანაცვლებას საერთო მოგების უწყისით, რომელშიც შედის ყველა ცვლილება კაპიტალში, რაც არამესაკუთრებს უკავშირდება (მაგ. გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივების გადაფასება). ამასთანავე, კომპანიებს საშუალება ეძლევათ, წარმოადგინონ ორი უწყისი: ცალკე მოგება-ზარალის უწყისი და საერთო მოგების უწყისი. ბანკმა არჩია, წარედგინა საერთო მოგების ერთიანი უწყისი. შეცვლილ IAS 1-ში ასევე შევიდა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის (საბალანსო უწყისის) წარდგენის მოთხოვნა უადრესი შედარებითი პერიოდის დასაწყისში, როდესაც კომპანია ხელახლა ასახავს შედარებით მონაცემებს ხელახალი კლასიფიკაციის, სააღრიცხვო პოლიტიკაში შესული ცვლილებების, ან შეცდომების გასწორების გამო. IAS 1-ის შეცვლამ გავლენა იქონია ბანკის ფინანსური უწყისების წარმოდგენაზე, მაგრამ გავლენა არ მოუხდენია კონკრეტული ტრანზაქციებისა და ბალანსების აღიარებასა თუ შეფასებაზე.

საერთაშორისო ფინანსური აღრიცხვის გაუმჯობესებელი სტანდარტები (გამოშვებული 2008 წლის მაისში). 2008 წელს, საბუღალტრო აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო კომიტეტი ყოველწლიური გაუმჯობესების პროექტის ინიციატივით გამოვიდა, რითაც აუცილებელი, თუმცა არა სანქარო ცვლილებების შეტანა მოხდება ხოლმე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში. ეს ცვლილებები შედგება სხვადასხვა სტანდარტებში არსებითი ცვლილებებისგან, განმარტებებისგან და შეცვლილი ტერმინოლოგიისგან. არსებითი ცვლილებები ეხება შემდეგ ასპექტებს: IFRS 5-ის თანახმად, სუბსიდიარზე კონტროლის დაკარგვის შემთხვევაში, მისი გასაყიდად ხელმისაწვდომად კლასიფიკაცია; IAS 1-ის თანახმად სავაჭროდ ხელმისაწვდომი ფინანსური ინსტრუმენტების არამიმდინარედ წარმოდგენის შესაძლებლობა; IAS 16-ის თანახმად გასაყიდად ანგარიშგება იმ აქტივებისა, რომლებიც უწინ იჯარისთვის იყო გამოყოფილი და IAS 7-ის თანახმად ამასთან დაკავშირებით საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული/გასული ფულადი სახსრების მოძრაობის კლასიფიკაცია; IAS 19-ის მიხედვით “შეკვეცის” დეფინიციის განმარტება; IAS 20-ის მიხედვით საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე ქვემოთ გაცემული სახელმწიფო სესხების ანგარიშგება; IAS 23-ის თანახმად ნასესხები სახსრების ხარჯების დეფინიციის შესაბამისობაში მოყვანა ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდთან; IAS 27-ისა და IFRS 5-ის თანახმად გასაყიდად ხელმისაწვდომი სუბსიდიარების განმარტება ბუღალტრული აღრიცხვისთვის; IAS 28 -ისა და IAS 31-ის მიხედვით დაკავშირებული მხარეებისა და ერთობლივი წამოწყებების ანგარიშგებაზე დართულ განმარტებით ინფორმაციაზე მოთხოვნების შემცირება, IAS 36-ის

მოთხოვნის თანახმად ანგარიშგებაზე მეტი ინფორმაციის/კომენტარების დატანება; IAS 38-ის მიხედვით რეკლამირების ხარჯების ანგარიშგების განმარტება; მოგების, ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულების კატეგორიის განმარტების შეცვლა, რათა შესაბამისობაში მოვიდეს IAS 39-ით მოთხოვნილ ჰეჯირებულ აღრიცხვასთან; IAS 40-ის შესაბამისად, მშენებარე საინვესტიციო ქონების ანგარიშგების შემოტანა; და IAS 41-ის თანახმად ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მეთოდზე შეზღუდვების შემსუბუქება. დამატებითი ცვლილებები IAS 8, 10, 18, 20, 29, 34, 40, 41-სა და IFRS 7-ში წარმოადგენს მხოლოდ ტერმინოლოგიის მხრივ ცვლილებას ან რედაქტირებას, რასაც, IASB -ის რწმენით, არავითარი, ან უმნიშვნელო გავლენა აქვს ანგარიშგებაზე. ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია ბანკზე, ქვემოთ მოცემული გამონაკლისის გარდა:

- **[IAS 16, ქონება, მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა (და შემდგომი ცვლილებები IAS 7-ში).** შეცვლილი სტანდარტის თანახმად, იმ კომპანიებს, რომლებიც რეგულარულად ყიდიან უწინ იჯარისთვის გაკუთვნილ აქტივებს, მოეთხოვებათ ასეთი აქტივების კლასიფიკაცია ინვენტარად, იმ თვალსაზრისით, რომ აქტივზე იჯარა წყდება და ხდება გასაყიდად ხელმისაწვდომი, ხოლო გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი ჩაითვლება შემოსავლად. იჯარა და გაყიდვიდან შემოსავალი უნდა გავიდეს საოპერაციო საქმიანობით მიღებული/გასული ფულადი სახსრების კატეგორიაში. ჯგუფმა შესაბამისად შეცვალა თავისი სააღრიცხვო პოლიტიკა.

ლიკვიდაციისას წარმოშობილი ვადაძლე დაფარვადი ფინანსური ინსტრუმენტები და ვალდებულებები – IAS 32 და IAS 1 ცვლილება. ეს ცვლილება მოითხოვს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების, რომლებიც ფინანსური ვალდებულებების განმარტებას პასუხობენ, საკუთარ კაპიტალად კლასიფიკაციას. ამ ცვლილებას გავლენა არ მოუხდენია ფინანსური ანგარიშების შედგენაზე.

უფლების გადაცემის პირობები და გაუქმება – ცვლილება IFRS 2-ში, აქციებზე დაყრდნობილი გადახდები – ამ ცვლილების მიხედვით, მხოლოდ მომსახურების პირობები და საქმიანობის პირობებია უფლების გადაცემის (უფლებით აღჭურვის) პირობები. აქციებზე დაყრდნობილი გადახდის სხვა ტიპები არ არის უფლებით აღჭურვის პირობები. ცვლილების მიხედვით ყველა გაუქმება, კომპანიის, ან სხვა მხარის მიერ, ერთნაირად უნდა იქნეს ბუღალტრულად აღრიცხული. ამ ცვლილებას გავლენა არ მოუხდენია ფინანსური უწყისების შედგენაზე.

5. ცვლილებები ფას სტანდარტებში და მათი ინტერპრეტაცია (გაგრძელება)

IFRIC 13, კლიენტების ლოიალურობის პროგრამა. IFRIC 13 –ის მიხედვით, როცა საქონელი და მომსახურება ერთად იყიდება კლიენტის ლოიალურობის მოსაპოვებლად (მაგალითად, ლოიალურობის ქულები, ან უფასო პროდუქტები), ეს სქემა მრავალკომპონენტანია და კლიენტისგან მისაღები ანაზღაურება ნაწილდება სქემის კომპონენტებზე სამართლიანი ღირებულების გამოყენებით. ამ ცვლილებას გავლენა არ მოუხდენია ფინანსური ანგარიშების შედგენაზე.

IFRIC 15, უძრავი ქონების აგების შეთანხმება. ეს ინტერპრეტაცია ვრცელდება იმ კომპანიის შემოსავლისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების აღრიცხვაზე, რომელიც უშუალოდ, ან სუბკონტრაქტორების საშუალებით აშენებს უძრავ ქონებას, და მასში მოცემულია ინსტრუქცია იმის განსაზღვრისთვის, უძრავი ქონების აგების შეთანხმება აკმაყოფილებს თუ არა IAS 11 და IAS 18–ს. მასში ასევე მოცემულია იმის განსაზღვრის კრიტერიუმები, თუ როდის უნდა აღიარონ კომპანიებმა ასეთი ტრანზაქციებიდან მიღებული შემოსავალი. ცვლილებას არსებითი გავლენა არ მოუხდენია ამ ფინანსურ უწყისებზე.

სუბსიდიარში, ერთობლივად მართულ კომპანიაში, ან დაკავშირებულ მხარეში ინვესტირების ხარჯი – IFRS 1 და IAS 27-ის ცვლილება, გამოშვებული 2008 წლის მაისში. ეს ცვლილება IFRS–ის პირველ მომხმარებლებს საშუალებას აძლევს შეაფასონ ინვესტიციები შვილობილ სუბსიდიარში, ერთობლივად მართულ ერთეულში, ან დაკავშირებულ მხარეში სამართლიან ღირებულებად, ან წინა GAAP (საყოველთაოდ მიღებული საბუღალტრო აღრიცხვის პრინციპი) საბალანსო ღირებულებად, რომელიც ხარჯად ითვლება ცალკე ფინანსურ უწყისებში. ეს ცვლილება ასევე მოითხოვს ინვესტირების ობიექტის გაუნაწილებელი წმინდა აქტივების განაწილების აღიარებას წლის მოგებაში, ან ზარალში, და არა, როგორც ინვესტიციის ამოღებად. ცვლილებას არსებითი გავლენა არ მოუხდენია ამ ფინანსურ უწყისებზე.

ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ განმარტებითი კომენტარების დახვეწა – ცვლილება IFRS 7-ში, ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი კომენტარები, გამოშვებული 2009 წლის მარტში. ეს ცვლილება მოითხოვს მეტ განმარტებით ინფორმაციას სამართლიანი ღირებულებით შეფასებისა და ლიკვიდურობის რისკის შესახებ. კომპანიას მოეთხოვება ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა სამართლიანი ღირებულების შეფასების საპეტაპიანი იერარქიის გამოყენებით. ცვლილება (ა) განმარტავს, რომ ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი უნდა მოიცავდეს გამოშვებული ფინანსური გარანტიის კონტრაქტებს გარანტიის მაქსიმალური თანხით უადრეს პერიოდში, რომელშიც გარანტიის მოთხოვნა შეიძლება გახდეს საჭირო; და (ბ) მოითხოვს ფინანსური დერივატივების კონტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ვადის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, თუ საკონტრაქტო ვადას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმაში გასარკვევად, თუ როდის ხდება ფულადი სახსრების მოძრაობა. კომპანიას ასევე მოუწევს ფინანსური აქტივების ვადიანობის ანალიზის წარმოდგენა, რომლებსაც ის ლიკვიდურობის რისკის სამართავად ფლობს, თუ ინფორმაცია საჭიროა, რომ მისი ფინანსური უწყისების მომხმარებლებს ლიკვიდურობის რისკის ხასიათისა და მოცულობის შეფასების საშუალება მიეცეთ. უფრო დაწვრილებითი კომენტარები შესულია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშებში.

ჩაშენებული დერივატივები - IFRIC 9 და IAS 39-ის ცვლილება, გამოშვებული 2009 წლის მარტში. ცვლილებების მიხედვით “მოგების, ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულების” კატეგორიის ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციისას, ყველა ჩაშენებული დერივატივი უნდა შეფასდეს და, თუ საჭიროა, აღრიცხოს სათითაოდ. ცვლილებას არსებითი გავლენა არ მოუხდენია ამ ფინანსურ უწყისებზე.

IFRIC 16, საზღვარგარეთ საქმიანობისას წმინდა ინვესტიციების ჰეჯირება. ეს ინტერპრეტაცია განმარტავს, რომელი სავალუტო რისკი მოითხოვს ჰეჯირებულ აღრიცხვას და აცხადებს, რომ საქმიანობის ვალუტიდან ანგარიშგების წარმოდგენის ვალუტაში გადაყვანა არ ქმნის რისკს, რომლისთვისაც გამოსაყენებელია ჰეჯირებული აღრიცხვა. IFRIC ჰეჯირების ინსტრუმენტის ფლობის უფლებას აძლევს ნებისმიერ ერთეულს, ან ერთეულებს ჯგუფის შიგნით, გარდა იმ ოპერაციისა საზღვარგარეთ, რომელიც უკვე თავისთავად ჰეჯირებულია. ინტერპრეტაცია ასევე განმარტავს, საზღვარგარეთ ჰეჯირებული საქმიანობის ხელმძღვანელობისას როგორ გამოითვლება ვალუტის გადაყვანით გამოწვეული მოგება ან ზარალი, რეკლასიფიცირებული სხვა საერთო შემოსავლიდან მოგებაში, ან ზარალში.

5. ცვლილებები ფას სტანდარტებში და მათი ინტერპრეტაცია (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის (გამოშვებული 2009 წლის ივლისში) წარმოადგენს თვითკმარ სტანდარტს, რომელიც მისადაგებულია შედარებით მცირე ბიზნესების საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. აქტივების, ვალდებულებების, მოგებისა და ხარჯების აღიარებისა და შეფასების ბევრი პრინციპი მთლიანად IFRS-ისთვის გამარტივდა, ასევე გამარტივდა და საკმაოდ შესუსტდა მოთხოვნა გარკვეულ განმარტებით ინფორმაციაზე. IFRS მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ კომპანიების მიერ, რომლებიც აქვეყნებენ ზოგადი დანიშნულების ფინანსურ ანგარიშებს გარეშე მომხმარებლებისთვის და არ გააჩნიათ საჯარო ანგარიშვალდებულება. მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის განკუთვნილი IFRS არ ვრცელდება ბანკზე, რადგანაც ბანკს საჯარო ანგარიშვალდებულება აქვს თავის საბანკო საქმიანობაზე.

თუ საგანგებოდ სხვა რამ არაა აღნიშნული, ცვლილებებს და ინტერპრეტაციებს დიდი გავლენა არ მოუხდენია ბანკის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებზე.

გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა ბანკის სააღრიცხვო პერიოდისათვის 2010 წლის 1 იანვრიდან და რომელსაც ბანკი ადრე არ პასუხობდა:

IFRIC 17, არაფულადი აქტივების განაწილება მფლობელებისთვის (ძალაშია წლიურ პერიოდებზე 2009 წლის 1 ივლისიდან). ინტერპრეტაცია განმარტავს, როდის და როგორ უნდა მოხდეს მფლობელებზე არაფულადი აქტივების დივიდენდებზე განაწილების აღიარება. კომპანიამ უნდა შეაფასოს მფლობელებზე არაფულადი აქტივების დივიდენდებზე განაწილების ვალდებულება გასანაწილებელი აქტივების სამართლიანი ღირებულებით. განაწილებული არაფულადი აქტივების გასხვისებიდან მიღებული მოგების, ან ზარალის აღიარება მოხდება იმ წლის მოგებაში, ან ზარალში, როდესაც კომპანია გადასახდელ დივიდენდს გადაიხდის. IFRIC 17 არ არის მნიშვნელოვანი ბანკის საქმიანობისთვის, რადგანაც ბანკი თავის მფლობელებს არაფულად აქტივებს არ უნაწილებს.

IFRIC 18, კლიენტებისგან აქტივების გადმოცემა (ძალაშია წლიურ პერიოდებზე 2009 წლის 1 ივლისიდან). ინტერპრეტაცია განმარტავს კლიენტებისგან აქტივების გადმოცემის ანგარიშგებას, კერძოდ, იმ პირობებს, რომლებიც აკმაყოფილებს აქტივის განმარტებას; აქტივის აღიარებას და მისი ღირებულების განსაზღვრას თავდაპირველი აღიარებისას; ცალ-ცალკე შეფასებადი მომსახურებების იდენტიფიკაცია (ერთი, ან მეტი მომსახურება გადმოცემული აქტივის სანაცვლოდ); შემოსავლის აღიარება და კლიენტებისგან ნაღდი ფულის გადმოცემის ანგარიშგება. IFRIC 18-ს სავარაუდოდ არ ექნება გავლენა ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

უფლებების ემისიის კლასიფიკაცია - ცვლილება IAS 32-ში (გამოშვებული 2009 წლის 8 ოქტომბერს; ძალაშია წლიურ პერიოდებზე 2010 წლის 1 თებერვლიდან). ეს ცვლილება ფინანსური დერივატივების კატეგორიიდან გამორიცხავს გარკვეული უფლებების ემისიას, რომელზეც შემოსავალი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში.

IAS 27, კონსოლიდირებული და ცალკე მომზადებული ფინანსური ანგარიშები (ცვლილება შევიდა 2008 წლის იანვარში; ძალაშია წლიურ პერიოდებზე 2009 წლის პირველი ივლისიდან). შეცვლილი IAS 27-ის თანახმად კომპანიას მოეთხოვება, მთლიანი საერთო მოგება მიაწეროს “დედობილი” კომპანიის მფლობელებს და აქციათა არასაკონტროლო

პაკეტს (ზემოთ “არასაკონტროლო პაკეტი”), მაშინაც კი თუკი ეს გამოიწვევს არასაკონტროლო პაკეტის დეფიციტურ ბალანსს (ამჟამინდელი სტანდარტის მოთხოვნის თანახმად, ნორმალურზე მეტი ზარალი უმრავლეს შემთხვევაში ნაწილდება “დედობილი” კომპანიის მფლობელებზე). შეცვლილი სტანდარტის მიხედვით სუბსიდიარში “დედობილი” კომპანიის აქციათა პაკეტში ცვლილებები, რომლებიც არ განაპირობებს კონტროლის დაკარგვას, უნდა აღირიცხოს, როგორც კაპიტალზე ტრანზაქციები. იგი ასევე აკონკრეტებს, როგორ უნდა შეაფასოს კომპანიამ სუბსიდიარზე კონტროლის დაკარგვით გამოწვეული ზარალი, ან მოგება. კონტროლის დაკარგვის დღეს, ყოფილ სუბსიდიარში ჩადებული ინვესტიცია უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით. ბანკის აზრით შეცვლილ სტანდარტს დიდი გავლენა არ ექნება მის ფინანსურ უწყისებზე.

5. ცვლილებები ფას სტანდარტებში და მათი ინტერპრეტაცია (გაგრძელება)

საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები IFRS 3, ბიზნეს კომბინაციები (შესწორებული 2008 წლის იანვარს; მოქმედი იმ ბიზნეს კომბინაციებისთვის, რომელთათვის შექმნის დღედ ითვლება 2009 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული პირველი ყოველწლიური ანგარიშგების პერიოდის დასაწყისის დღე ან მისი შემდგომი თარიღი). შესწორებული IFRS 3 კომპანიებს არასაკონტროლო პაკეტის IFRS 3 მეთოდის მიხედვით (შემქმნი კომპანიის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციული წილი) ან სამართლიანი ღირებულებით შეფასების საშუალებას მისცემს. შესწორებული IFRS 3 უფრო დეტალურ ინსტრუქციას იძლევა ბიზნეს კომბინაციებთან მიმართებაში შესყიდვის მეთოდის გამოყენების შესახებ. ამოღებულ იქნა თითოეულ ეტაპზე თითოეული აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასების მოთხოვნა ეტაპობრივი შესყიდვის შემთხვევაში, გუდვილის წილის გამოთვლის მიზნით. ამის ნაცვლად, ეტაპობრივად განხორციელებული ბიზნეს კომბინაციების შემთხვევაში, შემქმნი გადააფასებს საკუთარ სააქციო წილს შექმნილ კომპანიაში მისი შექმნის დღისთვის არსებული ღირებულებით და წლის მოგება-ზარალის უწყისში აღიარებს შედეგად მიღებულ მოგებას ან ზარალს, ასეთის არსებობის შემთხვევაში. შექმნასთან დაკავშირებული ხარჯები ბიზნეს კომბინაციისგან განცალკევებით აღირიცხება და, აქედან გამომდინარე, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი და გუდვილში არ შევა. შემქმნი ვალდებულია შექმნის დღეს აღიაროს ვალდებულება ნებისმიერი პირობითი შესყიდვის განხილვისას. ამ ვალდებულების ღირებულების ცვლილებები შექმნის დღის შემდეგ IFRS-ის მიხედვით იქნება აღიარებული, შესაბამისად, და არა გუდვილის კორექტირების მიხედვით. შესწორებული IFRS 3 იმ ბიზნეს კომბინაციებს ეხება, რომლებიც მხოლოდ ერთობლივ კომპანიებსა და მხოლოდ კონტრაქტის მეშვეობით მიღწეულ ბიზნეს კომბინაციებს მოიცავს. IFRS 3 არ ეხება ბანკს, რადგან აქ ბიზნეს კომბინაცია არ არის მოსალოდნელი.

ჰეჯირებული მუხლები – შესწორება სბს 39-ში, ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება (მოქმედი რეტროსპექტული გამოყენებისას ყოველწლიური პერიოდებისთვის, რომელიც 2009 წლის 1 ივლისს ან 1 ივლისის შემდგომ იწყება). შესწორება განმარტავს, როგორ უნდა გამოიყენებოდეს კონკრეტულ სიტუაციებში ის პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავს, ექვემდებარება თუ არა ჰეჯირებული რისკი ან ფულადი ნაკადების ნაწილი აღიარებას. შესწორება სავარაუდოდ არ იმოქმედებს ბანკის ფინანსურ ანგარიშებზე, რადგან ბანკი არ გამოიყენებს ჰეჯირების აღრიცხვას.

IFRS , საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების პირველადი მიღება (2008 წლის დეკემბერში მიღებული შესწორების შედეგად, მოქმედი პირველი IFRS ფინანსური ანგარიშგებისთვის იმ პერიოდისთვის, რომელიც 2009 წლის 1 ივლისს ან 1 ივლისის შემდგომ იწყება). IFRS 1 ინარჩუნებს წინა ვერსიის არსს, მაგრამ გარკვეული სტრუქტურული ცვლილებებით, რაც მკითხველს მომავალი ცვლილებების გაგებას უადვილებს და მათთან უკეთესად შეგუების საშუალებას აძლევს. ბანკი მიიჩნევს, რომ შესწორებული სტანდარტი არ ზემოქმედებს მის ფინანსურ ანგარიშებზე.

ჯგუფის ფულადი საგადახდო ტრანზაქციები აქციების საფუძველზე – შესწორებები IFRS 2-ში, გადახდა აქციების საფუძველზე (მოქმედი ყოველწლიური პერიოდებისთვის, რომელიც 2010 წლის 1 იანვარს ან 1 იანვრის შემდგომ იწყება). შესწორებები კონსოლიდირებულ და ცალკეულ ფინანსურ ანგარიშებში აქციებზე დაფუძნებული გადახდების კლასიფიკაციის განსაზღვრის მკაფიო საფუძველს იძლევა. შესწორებები სტანდარტში აერთიანებს IFRIC 8 და IFRIC 11 ინსტრუქციებს, რაც ამოღებულ იქნა.

შესწორებები განავრცობს IFRIC 11-ში მოცემულ ინსტრუქციას იმ გეგმების შესახებ, რომლებიც წინა ინტერპრეტაციაში არ განიხილებოდა. შესწორებები ასევე განმარტავს სტანდარტის დანართში ჩამოყალიბებულ პირობებს. ბანკი მიიჩნევს, რომ შესწორებები არ იქონებს რაიმე მნიშვნელოვან მატერიალურ ზეგავლენას მის ფინანსურ ანგარიშებზე.

დამატებითი გამონაკლისები პირველადი მიღებისთვის - შესწორებები IFRS -ში, IFRS-ის პირველადი მიღება (მოქმედი ყოველწლიური პერიოდებისთვის, რომელიც 2010 წლის 1 იანვარს ან 1 იანვრის შემდგომ იწყება). შესწორებები ათავისუფლებს კომპანიებს, რომლებიც სრული ღირებულების მეთოდს გამოიყენებენ, IFRS-ის რეტროსპექტული გამოყენებისგან ნავთობისა და გაზის აქტივებთან მიმართებაში, ასევე ათავისუფლებს მიმდინარე საიჯარო ხელშეკრულებების მქონე კომპანიებს ამ კონტრაქტების კლასიფიკაციის გადაფასებისგან IFRIC 4-ის სტანდარტების მიხედვით, რაც 'მოიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას', როცა ადგილობრივი სააღრიცხვო მოთხოვნების გამოყენებამ იგივე შედეგი გამოიღო. შესწორებები ბანკის ფინანსურ ანგარიშებზე ზეგავლენას არ იქონიებს.

5. ცვლილებები ფას სტანდარტებში და მათი ინტერპრეტაცია (გაგრძელება)

საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების ცვლილებები (გამოცემული 2009 წლის აპრილში; შესწორებები IFRS 2, IAS 38, IFRIC 9 და IFRIC 16-ში მოქმედებს ყოველწლიური პერიოდებისთვის, რომელიც 2009 წლის 1 ივლისს ან 1 ივლისის შემდგომ იწყება; შესწორებები IFRS 5, IFRS 8, IAS 1, IAS 7, IAS 17, IAS 36 და IAS 39-ში ყოველწლიური პერიოდებისთვის, რომელიც 2010 წლის 1 იანვარს ან 1 იანვრის შემდგომ იწყება). შესწორებები მოიცავს მნიშვნელოვან ცვლილებებს და განმარტებებს შემდეგ სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში: განმარტება, რომ ბიზნესების წვლილი საერთო საკონტროლო ტრანზაქციებსა და ერთობლივი საწარმოების შექმნაში არ შედის IFRS 2-ის კომპეტენციებში; IFRS 5 -ის მიერ დაწესებული ინფორმაციის წარმოდგენის მოთხოვნების განმარტება და სხვა სტანდარტები არამიმდინარე აქტივებისთვის (ან სარელიზაციო ჯგუფები), რომლებიც კლასიფიცირებულია როგორც გასაყიდი აქტივები ან შეწყვეტილი ოპერაციები; მთლიანი აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების თითოეული სეგმენტისთვის ანგარიშგების მოთხოვნა IFRS 8-ის, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ოდენობების ანგარიშგება რეგულარულად მიეწოდება გადაწყვეტილების მიმდებარე პირს; სბს 1-ის შესწორება კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით დარეგულირებული კონკრეტული ვალდებულებების არამიმდინარე კლასიფიკაციის მიზნით; სბს 7-ის შეცვლა იმ კუთხით, რომ საინვესტიციო საქმიანობად მხოლოდ ის დანახარჯები კლასიფიცირდებოდეს, რასაც შედეგად აღიარებული აქტივი მოყვება; კონკრეტული გრძელვადიანი მიწის იჯარების ფინანსურ იჯარად კლასიფიკაცია IAS 17-ის მიხედვით, მაშინაც კი, როდესაც იჯარის ვადის დასასრულისთვის მიწის მფლობელობის უფლება არ გადაეცემა; დამატებითი ინსტრუქციების უზრუნველყოფა სბს 18-თან დაკავშირებით, იმის განსაზღვრის მიზნით, კომპანია მინდობილობის გამცემია, თუ მინდობილი; განმარტება სბს 36-ში, რომ ფულის წარმომქმნელი ერთეული არ უნდა აღემატებოდეს საოპერაციო სეგმენტს აგრეგაციამდე; სბს 38-ს დანართი ბიზნეს კომბინაციისას შექმნილი არამატერიალური აქტივების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით; სბს 39-ში შესწორების შეტანა (ი) მასში ოპციონების კონტრაქტების შეტანით, რასაც შედეგად შესაძლოა ბიზნეს კომბინაციები მოყვეს, (იი) ფულადი სახსრების მოძრაობის ჰეჯირების ინსტრუმენტებზე მოგებისა და ზარალის რეკლასიფიკაციის პერიოდის განმარტება წლის მოგება-ზარალის უწყისის მიხედვით და (იიი) განცხადება, რომ წინასწარი გადახდის ოპციონი მჭიდროდაა დაკავშირებული ძირითად ხელშეკრულებასთან, თუ მოქმედების პერიოდში მსესხებელი ანაზღაურებს დამკრედიტებლის ეკონომიკურ ზარალს; IFRIC 9-ში შესწორების შეტანა და განსაზღვრა, რომ საერთო კონტროლის ტრანზაქციებით შექმნილ კონტრაქტებში ჩაშენებული დერივატივები და ერთობლივი საწარმოების ჩამოყალიბება არ შედის მის კომპეტენციებში; და შეზღუდვის მოხსნა IFRIC 16-ში, რომლის მიხედვითაც ჰეჯირების ინსტრუმენტები არ უნდა ექვემდებარებოდეს უცხოურ ოპერაციას, რომელიც თავადაა ჰეჯიბული. ბანკი არ მიიჩნევს, რომ შესწორებები მნიშვნელოვან მატერიალურ ზემოქმედებას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებზე.

შესწორებები სბს 24-ში, დაკავშირებული მხარის შესახებ ინფორმაციის განუღვენება (გამოცემული 2009 წლის ნოემბერში, მოქმედებს ყოველწლიური პერიოდებისთვის, რომელიც 2011 წლის 1 იანვარს ან 1 იანვრის შემდგომ იწყება). სბს 24-ის გადახედვა 2009 წელს მოხდა (ა) დაკავშირებული მხარის განმარტების გამარტივების, მისი მნიშვნელობის განმარტებისა და შეუსაბამობების აღმოფხვრის და (ბ) სამთავრობო კომპანიების ინფორმაციის წარმოდგენისგან ნაწილობრივი გათავისუფლების გზით.

IFRS 9, ფინანსური ინსტრუმენტები ნაწილი 1: კლასიფიკაცია და შეფასება. IFRS 9 2009 წლის ნოემბერში იქნა გამოცემული და ჩაანაცვლა სბს 39-ის ის ნაწილები, რომლებიც

ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან იყო დაკავშირებული. ძირითადი მაჩვენებლებია:

- ფინანსური აქტივები შეფასების ორი კატეგორიის მიხედვით უნდა კლასიფიცირდებოდეს: შემდგომ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და შემდგომ ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული. გადაწყვეტილება თავდაპირველი აღიარებისას უნდა მიიღებოდეს. კლასიფიკაცია დამოკიდებულია კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტების მართვის ბიზნეს მოდელსა და ინსტრუმენტის სახელშეკრულებო ფულადი სახსრების მოძრაობის მაჩვენებლებზე.
- ინსტრუმენტის შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს სავალდებულო ინსტრუმენტია და (ი) კომპანიის ბიზნეს მოდელის მიზანს აქტივის ფლობა წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი სახსრების მოძრაობების ამოღების მიზნით, და (იი) აქტივის სახელშეკრულებო ფულადი სახსრების მოძრაობები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს წარმოადგენს (ანუ, მას აქვს მხოლოდ “სესხის ძირითადი მახასიათებლები”). ყველა სხვა სავალდებულო ინსტრუმენტი სამართლიანი ღირებულებით ფასდება მოგება ზარალის მიხედვით.

5. ცვლილებები ფას სტანდარტებში და მათი ინტერპრეტაცია (გაგრძელება)

- ყველა წილობრივი ინსტრუმენტის შემდგომი შეფასება სამართლიანი ღირებულებით უნდა მოხდეს. სავაჭრო მიზნებისთვის ფლობილი წილობრივი ინსტრუმენტი სამართლიანი ღირებულებით ფასდება მოგება ზარალის მიხედვით. ყველა დანარჩენი წილობრივი ინსტრუმენტისთვის თავდაპირველი აღიარებისას შესაძლებელია განხორციელდეს შეუცვლადი არჩევა, არარეალიზებული და რეალიზებული სამართლიანი ღირებულების მოგებისა და ზარალის სხვა მთლიანი შემოსავლის და არა მოგების ან ზარალის მიხედვით აღიარების მიზნით. სამართლიანი ღირებულების მოგება და დანაკარგების მოგებაში ან ზარალში არ ჩაიწერება. ასეთი არჩევა შესაძლებელია ეტაპობრივად ინსტრუმენტების მიხედვით. დივიდენდები წარმოდგენილი უნდა იყოს მოგებაში ან ზარალში, თუ ინვესტიციაზე შემოსავალს წარმოადგენს.
- რადგანაც IFRS 9 სავალდებულოა 2013 წლის 1 იანვრიდან, მისი ვადამდელი მიღებაც ნებადართულია.

ბანკი სტანდარტის მნიშვნელობებს განიხილავს, ზემოქმედებას ბანკზე და ბანკის მიერ მისი მიღების დროზე.

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის აღწერილი, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები ბანკის ფინანსურ ანგარიშებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ მოახდენს.

6. შედარებითი მონაცემები

საჭიროების შემთხვევაში, მოხდა შესაბამისი ციფრების კორექტირება მიმდინარე წლის ოდენობებთან შესაბამისობის მიზნით.

შესწორებული სბს 1, *ფინანსური ანგარიშების პრეზენტაცია*, რომელიც 2009 წლის 1 იანვარს შევიდა ძალაში, კომპანიებისგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს მოითხოვს შედარებითი პერიოდის დასაწყისის მდგომარეობით ('ფინანსური მდგომარეობის შესავალი ანგარიში'), როდესაც კომპანია ხელმეორედ აქვეყნებს რეტროსპექტულ ანგარიშს ან როცა ახდენს მუხლების რეკლასიფიკაციას საკუთარ ფინანსურ ანგარიშებში. ფინანსური მდგომარეობის შესავალი ანგარიში ამ ფინანსურ ანგარიშებში წარმოდგენილია 2009 წლის 1 იანვრიდან მიღებული შესწორებული სბს 1-ის მიხედვით პრეზენტაციაში შეტანილი ცვლილებების შედეგად, მთლიანი შემოსავლის ანგარიშის ჩათვლით.

ფინანსური მდგომარეობის დამატებითი შესავალი ანგარიშის წარდგენის მოთხოვნა, როცა კომპანიამ ხელმეორედ გამოაქვეყნა ანგარიში ან რეკლასიფიკაცია მოახდინა, მოიცავს ინფორმაციის წარმოდგენასაც დაკავშირებულ შენიშვნებში. მენეჯმენტმა განიხილა ამ საკითხის არსებითობა და დაადგინა, რომ კომპანიისთვის საკმარისია ასეთი ინფორმაციის მხოლოდ იმ შენიშვნებში წარმოდგენა, რომლებზეც ზეგავლენა იქონია ხელახალმა ანგარიშებამ ან რეკლასიფიკაციამ და განაცხადა ფინანსურ ანგარიშებში, რომ სხვა შენიშვნებზე ხელახალმა ანგარიშებამ ან რეკლასიფიკაციამ ზეგავლენა არ იქონია. ამრიგად, შენიშვნების არ შეტანა ფინანსური მდგომარეობის დამატებით შესავალ ანგარიშში, მენეჯმენტის აზრით, არ არის არსებითი.

6. შედარებითი მონაცემები (გაგრძელება)

რეკლასიფიკაციების შედეგი პრეზენტაციის მიზნებისთვის შემდეგია:

| '000 ლარი | თავდაპირველ ად წარმოდგენი ლი 2008 | რეკლასიფიკა ცია | რეკლასიფიცი რებული 2008 |
|--|--|--------------------|-------------------------------|
| მოგება და ზარალი | | | |
| საპროცენტო შემოსავალი | 96,280 | 2,966 | 99,246 |
| საპროცენტო ხარჯი | (37,295) | (307) | (37,602) |
| საკომისიო შემოსავალი | 6,679 | (1,190) | 5,489 |
| საკომისიო ხარჯი | (2,597) | 307 | (2,290) |
| საოპერაციო ხარჯები | (51,221) | 401 | (50,820) |
| სხვა ტრანზაქციებზე გაუარესების ზარალის რეზერვი | 273 | (273) | - |
| ზარალს გამოკლებული მოგება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისგან სამართლიანი ღირებულებით მოგება ზარალის მიხედვით | - | (52) | (52) |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | 4,533 | (1,852) | 2,681 |
| ფინანსური პოზიციის ანგარიში | | | |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 505,455 | (4,173) | 501,282 |
| არამატერიალური აქტივები | - | 296 | 296 |
| სხვა აქტივები | 5,021 | (918) | 4,103 |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | 243,245 | (221,100) | 22,145 |
| სხვა ნასესხები სახსრები | 8,880 | 220,644 | 229,524 |
| რეზერვები | - | 131 | 131 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 4,655 | (4,218) | 437 |
| სუბორდინირებული ვალი | 41,420 | (166) | 41,254 |

მნიშვნელოვანი ცვლილებები პრეზენტაციაში შემდეგი მიზეზებისგან გამომდინარეობდა:

- ჯარიმა 1,190 ათასი ლარის ოდენობის სესხების ვადამდელი გადახდისთვის (2007: 1,215 ათასი) და საურავები ვადაგადაცილებულ სესხებზე 1,776 ათასი ლარის ოდენობით (2007: 1,641 ათასი), რაც ადრე საკომისიო შემოსავალში შედიოდა და სხვა საოპერაციო შემოსავლის გამოკლებით ახლა საპროცენტო შემოსავალშია წარმოდგენილი;
- გაცემის საკომისიოს არაამორტიზირებული ნაშთი 4,173 ათასი ლარის ოდენობით (2007: 3,076 ათასი), რაც ადრე სხვა ფინანსურ ვალდებულებებში იყო შეტანილი და ახლა კლიენტებზე გაცემულ სესხებშია წარმოდგენილი კლიენტებისთვის სესხების პრეზენტაბელურობის გაზრდის მიზნით;
- სხვა ბანკების მიმართ არსებული 221,100 ათასი ლარის ოდენობის ვალდებულებების რეკლასიფიკაცია (2007: 153,911 ათასი) სხვა ნასესხებ ფულად სახსრებზე, ნასესხები სახსრების უკეთესი პრეზენტაციის მიზნით.

2009 წელს მენეჯმენტმა ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშის პრეზენტაცია პირდაპირი მეთოდიდან არაპირდაპირ მეთოდად შეცვალა, პროგრედიტ პოლდინგის, ერთპიროვნული აქციონერის, მოთხოვნის მიხედვით. შესაბამისად, მოხდა 2008 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშის რეკლასიფიკაცია 2009 წლის

ს. ს. პროგრედიტ ბანკი
31 დეკემბერი, 2009 წ.

პრეზენტაციასთან შესაბამისობის მიზნით. ზემოხსენებული სხვა ბანკებისადმი ვალდებულებების სხვა ნასესხებ ფულად სახსრებად რეკლასიფიკაციის გამო, ფულადი სახსრების მოძრაობების 2008 წლის ანგარიშში შემდეგი რეკლასიფიკაცია გაკეთდა:

| '000 ლარი | თავდაპირველად წარმოდგენილი 2008 | რეკლასიფიკაცია | რეკლასიფიცირებული 2008 |
|------------------------------|---------------------------------------|----------------|---------------------------|
| ნაღდი ფულის ნაკადი | (6,698) | | |
| საოპერაციო საქმიანობისგან | | (17,149) | (23,847) |
| ნაღდი ფულის ნაკადი საფინანსო | 25,772 | | |
| საქმიანობისგან | | 17,149 | 42,921 |

ნებისმიერი ცვლილება ამ ფინანსურ ანგარიშებში მოითხოვს ბანკის მენეჯმენტის დასტურს, რომელმაც ამ ფინანსური ანგარიშების გამოქვეყნების ნებართვა გასცა.

7. ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტები

ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტები შემდეგ მუხლებს მოიცავს:

| '000 ლარი | 2009 | 2008 |
|--|----------------|---------------|
| ხელთ არსებული ნაღდი ფული | 46,477 | 35,542 |
| ნაშთები სებ-ში გარდა სავალდებულო რეზერვებისა | 37,312 | 31,468 |
| სებ-ის დეპოზიტების სერტიფიკატი | 9,981 | - |
| სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები სებ-ში | 14,169 | 11,546 |
| ნაღდი ფული სულ | 107,939 | 78,556 |

საქართველოს მთავრობის სუვერენული საკრედიტო რისკის რეიტინგი 2009 წელს Fitch – ის სარეიტინგო სააგენტოს მიხედვით იყო მოკლევადიანი “B” და გრძელვადიანი “B+” (2008: მოკლევადიანი “B” და გრძელვადიანი “B+”).

შემდეგი ნაღდი ფულის ეკვივალენტები მიხნეულია ნაღდ ფულად ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშისთვის:

| '000 ლარი | 2009 | 2008 |
|--|----------------|----------------|
| ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტები | 107,939 | 78,556 |
| სხვა ბანკებისგან მისაღები სამ თვემდე დაფარვის ვადით (შენიშვნა 8) | 36,441 | 43,993 |
| სავალდებულო რეზერვი სებ-ში, რომელიც ნაღდ ფულად არ კლავიფიცირდება ნაღდი ფულის მოძრაობის ანგარიშისთვის | (14,169) | (11,546) |
| ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტები ნაღდი ფულის მოძრაობის ანგარიშისთვის | 130,211 | 111,003 |

ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტების საპროცენტო განაკვეთის ანალიზი 28-ე შენიშვნაშია მოცემული.

8. მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ

| '000 ლარი | 2009 | 2008 |
|--|---------------|---------------|
| სხვა ბანკებისგან მისაღები OECD ქვეყნებში | 36,318 | 50,355 |
| სხვა ბანკებისგან მისაღები არა-OECD ქვეყნებში | 788 | 2,557 |
| სულ | 37,106 | 52,912 |

შემდეგი ცხრილი აჩვენებს სხვა ბანკებისგან მისაღებლების საკრედიტო რეიტინგების დეტალებს:

| '000 ლარი | საკრედიტო რეიტინგები | | | | | სულ |
|--|----------------------|--------|--------|------|-----------|---------------|
| არც ვადაგადაცილებული არც გაუარესებული | AA | A | BBB | <BBB | ურეიტინგო | |
| 2009 წლის 31 დეკემბერი | 676 | 12,969 | 22,788 | 673 | - | 37,106 |
| 2008 წლის 31 დეკემბერი | 4,186 | 16,934 | 28,736 | 229 | 2,827 | 52,912 |

საკრედიტო რეიტინგები ემყარება Standard & Poor's რეიტინგებს. 2009 წელს მოლიანად იქნა ამოღებული 2,827 ათასი ლარი, რომელიც 2008 წელს წარმოდგენილი იქნა, როგორც “ურეიტინგო”.

საპროცენტო განაკვეთის ანალიზი 28-ე შენიშვნაშია მოცემული, ხოლო ინფორმაცია დაკავშირებული მხარის ნაშთების შესახებ – 32-ე შენიშვნაში.

9. გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

ყველა ფასიანი ქაღალდი, რომელიც არ არის აღიარებული როგორც ფინანსური აქტივი სამალთლიანი ღირებულებით მოგება ზარალის უწყისის მიხედვით, კლასიფიცირდება როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები. საბალანსო უწყისის ეს მუხლი ძირითადად ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების მქონე ფასიან ქაღალდებს მოიცავს, რომელთა უმრავლესობა სახაზინო ვექსილებია.

| '000 ლარი | 2009 | 2008 |
|---|--------------|------------|
| საქართველოს მთავრობის სახაზინო ვექსილები | 3,922 | - |
| წილი კომპანიებში არა-OECD ქვეყნებში | 435 | 435 |
| გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები სულ | 4,357 | 435 |

საქართველოს მთავრობის სუვერენული საკრედიტო რისკის რეიტინგი 2009 წელს Fitch – ის სარეიტინგო სააგენტოს მიხედვით იყო მოკლევადიანი “B” და გრძელვადიანი “B+” (2008: მოკლევადიანი “B” და გრძელვადიანი “B+”).

წილი კომპანიებში არა-OECD ქვეყნებში მოიცავს:

| '000 ლარი | საკუთრების წილი | 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობი თ | საკუთრების წილი | 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობი თ |
|--|--------------------|---|--------------------|---|
| პროგრედიტ აკადემია მაკედონიაში | 8.33% | 236 | 8.33% | 236 |
| სს კრედიტ ინფო საქართველო | 16.63% | 95 | 16.63% | 95 |
| სს საქართველოს გაერთიანებული კლირინგ ცენტრი | 6.25% | 54 | 6.25% | 54 |
| სს ამერიკული აკადემია თბილისში | 5.38% | 50 | 5.38% | 50 |
| სულ | | 435 | | 435 |

სააქციო ინვესტიციები ხორციელდება 435 ათასი ლარის ღირებულებით (2008: 435 ათასი). ინვესტიციის მიმღებს არ გამოუქვეყნებია უახლესი ფინანსური ინფორმაცია საკუთარი ოპერაციების შესახებ, მისი წილი არ არის ქვოტირებული და უახლესი სავაჭრო ფასები არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი. მენეჯმენტს არ შეუძლია საიმედოდ შეაფასოს სააქციო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულება. ბანკი უახლოეს მომავალში არ აპირებს ამ აქციების რეალიზაციას.

გასაყიდად ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები მოიცავდა სავალდო ფასიან ქაღალდებს 3,922 ათასი ლარის (2008: ნული) საბალანსო ღირებულებით, რომლითაც არ ხდება საჯარო ვაჭრობა. ადგილობრივი ფინანსური ბაზრების თავისებურების გამო, ამ ინვესტიციების მიმდინარე საბაზრო ღირებულების მიღება არ არის შესაძლებელი. სამართლიანი ღირებულება ინვესტიციის დისკონტირებულ ფულად ნაკადებზე მითითებით ფასდება, მთავრობის მიერ წლის ბოლოსთვის მსგავსი ინსტრუმენტებისთვის განსაზღვრული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით.

ს. ს. პროგრედიტ ბანკი
31 დეკემბერი, 2009 წ.

ცვლილებები გასაყიდად ხელმისაწვდომ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებში

| '000 ლარი | საქართველოს თავრობის სახაზინო ვექსილები | აქციები | სულ |
|---|--|------------|--------------|
| ნაშთი 2009 წლის 1 იანვრისთვის | - | 435 | 435 |
| შესყიდვებს გამოკლებული დისკონტები | 3,920 | - | 3,920 |
| დარიცხული პროცენტი | 2 | - | 2 |
| ნაშთი 2009 წლის 31 დეკემბრისთვის | 3,922 | 435 | 4,357 |

საპროცენტო განაკვეთის ანალიზი სავალდ ფასიანი ქაღალდებისთვის 28-ე შენიშვნაშია მოცემული.

10. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები

კლიენტთა სესხების კონცენტრაცია კლასებისა და თავდაპირველი მოცულობის მიხედვით შემდეგია:

| '000 ლარი | მთლიანი თანხა | გაუარესების რეზერვი | წმინდა თანხა | მთლიანი პორტფელის წილი | დაუფარავი სესხების რაოდენობა | მთლიანი თანხის წილი |
|--|------------------|------------------------|-----------------|------------------------------|------------------------------------|---------------------------|
| 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | | | | | | |
| ბიზნეს სესხები | | | | | | |
| სესხები 10 000 აშშ დოლარამდე | 84,935 | (2,731) | 82,204 | 15.9% | 27,079 | 42.3% |
| სესხები 10 000-დან 50 000 აშშ დოლარამდე | 126,412 | (4,897) | 121,515 | 23.7% | 6,858 | 10.7% |
| სესხები 50 000-დან 150 000 აშშ დოლარამდე | 96,982 | (2,362) | 94,620 | 18.2% | 1,905 | 3.0% |
| სესხები 150 000 აშშ დოლარს ზევით | 160,677 | (5,150) | 155,527 | 30.1% | 1,321 | 2.1% |
| ბიზნეს სესხები სულ | 469,007 | (15,140) | 453,866 | 87.8% | 37,163 | 58.1% |
| აგრო სესხები | | | | | | |
| სესხები 10 000 აშშ დოლარამდე | 11,201 | (242) | 10,959 | 2.1% | 5,332 | 8.3% |
| სესხები 10 000-დან 50 000 აშშ დოლარამდე | 4,388 | (178) | 4,210 | 0.8% | 245 | 0.4% |
ბანკი ხელმძღვანელობს ინსტრუქციით, რომელიც ზღუდავს კონცენტრაციის რისკს სასესხო პორტფელში და უზრუნველყოფს მსხვილი სესხების (800,000 აშშ დოლარზე ზევით) პროკრედიტ ჰოლდინგის ჯგუფის რისკების მართვის კომიტეტის მიერ დამტკიცებას.

შედარებით მსხვილი სესხების სათანადო ანალიზსა და მონიტორინგს პასუხისმგებელი თანამშრომლები უზრუნველყოფენ საკრედიტო განყოფილებიდან, საქმიანობის რეგულარული მონიტორინგის გზით, რაც რისკების დროული აღმოჩენის შესაძლებლობას ქმნის, ასევე ბანკის საკრედიტო კომიტეტი რეგულარული შემოწმებების ჩატარებით. ინფორმაციის მოძიება რომელიმე დაკავშირებულ მხარეზე ჩვეულებრივ სესხის გაცემამდე ხდება.

ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხების საფუძვლიან მონიტორინგს ბანკის საკრედიტო კომიტეტი უზრუნველყოფს. ასეთი სესხებისთვის, არსებობს თუ არა გაუარესების ობიექტური მტკიცებულება, ფასდება:

- მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა (ფულადი სახსრების მოძრაობის ნაკლებობა)
- უზრუნველყოფის საშუალების ხარისხი (არსებობა, ღირებულება, ხელმისაწვდომობა)
- მართვის დონე (გამოცდილება, ხედვა, ფინანსური აღრიცხვა)
- კონკრეტულ სექტორზე, სფეროზე ან რეგიონზე გაცემულ სესხებზე პოტენციური ან არსებული მნიშვნელოვანი დანაკარგი
- სექტორში, სფეროსა ან რეგიონში, სადაც ბანკს აქტივების მაღალი კონცენტრაცია გააჩნია, უარყოფითი მიმართულებები
- მსესხებლის ფინანსურ მდგომარეობასთან ან ბანკის პოლიტიკასთან დაკავშირებული სხვა გარემოებები.

გაარესების რეზერვის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება უზრუნველყოფის საშუალების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება.

ინვიდუალურად გაუარესებულ სესხებზე უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულებაა:

ს. ს. პროგრედიტ ბანკი
31 დეკემბერი, 2009 წ.

| 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | უძრავი ქონება | გარანტიები | სასაქონლო მარაგი | სხვა |
|--|------------------|------------|---------------------|---------------|
| ბიზნეს | 6,704 | 118 | 6,616 | 13,438 |
| აგრო | 6 | - | 53 | 59 |
| ბინის კეთილმოწყობის | 42 | - | - | 42 |
| სხვა | 68 | - | - | 68 |
| სულ | 6,820 | 118 | 6,669 | 13,607 |

| 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | უძრავი ქონება | გარანტიები | სასაქონლო მარაგი | სხვა |
|--|------------------|------------|---------------------|---------------|
| ბიზნეს | 4,034 | 150 | 23,153 | 27,337 |
| აგრო | - | - | 43 | 43 |
| სამომხმარებლო | - | - | - | 0 |
| სხვა | 9 | 1 | - | 10 |
| სულ | 4,043 | 151 | 23,196 | 27,390 |

საცხოვრებელი უძრავი ქონების სამართლიანი ღირებულება ანგარიშგების პერიოდის დასასრულისთვის შეფასდა ბანკის შიდა საკრედიტო განყოფილების თანამშრომლების მიერ განსაზღვრული ღირებულებების გამოყენებით, რომელიც სესხის დასაწყისში განისაზღვრა ქალაქსა თუ რეგიონში საცხოვრებელი უძრავი ქონების სამართლიანი ღირებულების საშუალო ზრდის გათვალისწინებით. სხვა უძრავი ქონებისა და სხვა აქტივების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა ბანკის საკრედიტო განყოფილების მიერ ბანკის შიდა ისნტრუქციების გამოყენებით.

საკრედიტო პოლიტიკის მიხედვით, ძალიან მცირე სესხები სრული უზრუნველყოფის გარეშე გაიცემა. ასეთი სესხები შესაძლოა მესამე მხარეებისგან მიღებული გარანტიებით იქნას უზრუნველყოფილი. შედარებით მაღალი რისკის პროფილის მქონე სესხები გირაოთია უზრუნველყოფილი, ჩვეულებრივ უძრავი ქონებით. რადგანაც სესხების უმეტესობა საკმაოდ მოკლევადიანი სესხებია ფიქსირებული შენატანებით, უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება ჩვეულებრივ უფრო ნელა იკლებს, ვიდრე სესხის დაუფარავი თანხა, და, აქედან გამომდინარე, მცირე სესხებისთვის ბანკი არ აწარმოებს რეალური ღირებულების მონიტორინგს სესხის გაცემის შემდგომ.

28. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხები, რომლისთვისაც გაუარესების ინდივიდუალური რეზერვის განსაზღვრა არ არის საჭირო, კოლექტიური შეფასების რეზერვებით იფარება.

ინდივიდუალურად უმნიშვნელო სესხებისთვის, რომელთა გაუარესების ობიექტური მტკიცებულება არსებობს, ანუ რომლებიც 30 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში ვადაგადაცილებული (ასევე უმნიშვნელო რესტრუქტურისებული სესხები, რომლებიც ვადაგადაცილებაში არ არის, მაგრამ გაუარესებულადაა კლასიფიცირებული); გაუარესება განისაზღვრება ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. გარდა ამისა, უმნიშვნელოდ მინეული ინდივიდუალური სესხები, ინდივიდუალურად უმნიშვნელო სესხების ჯგუფი, შესაძლოა გაუარესებულად კლასიფიცირდეს, თუ ქვეყანაში ისეთი შემთხვევები შეინიშნება, როგორცაა პოლიტიკური არეულობა, მნიშვნელოვანი ეკონომიკური დაღმასვლა, სტიქიური უბედურებები ან სხვა გარე ფაქტორები.

შიდა საბანკო განთავსებებიდან და ემინენტთან დაკავშირებული რისკიდან გამომდინარე საკრედიტო რისკი

შიდა საბანკო განთავსებებიდან და ფასიანი ქაღალდებიდან გამომდინარე საკრედიტო რისკი იყოფა:

- ძირითად რისკად – დაკავშირებული მხარისთვის გადაცემული თანხის დაკარგვის რისკი, რაც დაკავშირებული მხარის მიერ ძირითად თანხის დროულად და სრულად გადაუხდელობისგან გამომდინარეობს (დაკავშირებული მხარის დეფოლტი)
- ჩანაცვლების რისკად – იმ ოდენობის თანხის დაკარგვის რისკი, რაც ტოლია მიმდინარე სესხის ბაზარზე მისი ეკვივალენტური სესხით ჩანაცვლების ღირებულებისა
- ანგარისწორების რისკად – დანაკარგის რისკი, რომელიც გამოწვეულია დაკავშირებული მხარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივების გადაცემის ვალდებულების შეუსრულებლობით
- ემინენტთან დაკავშირებულ რისკად – ზარალის აღბათობა, რაც გამოწვეულია ფასიანი ქაღალდის ემინენტის დეფოლტთან და გადახდის უუნარობასთან.

სესხები საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ ასევე წარმოადგენს დაკავშირებული მხარის რისკს და მისი შეფასება და ანგარიშგება ხდება როგორც დაკავშირებული მხარის რისკისა. თუმცა, დავალიანება ძირითადად ბანკის სადეპოზიტო და საგადახდო ბიზნესიდან გამომდინარეობს, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის ინდივიდუალური პოლიტიკიდან და, აქედან გამომდინარე, უშუალოდ ბანკის კონტროლს არ ექვემდებარება. ბანკი დაკავშირებული მხარის რისკის მინიმუმამდე შემცირებას შემდეგი საშუალებებით ცდილობს:

- დაკავშირებული მხარის დამტკიცების პროცესის დასრულება რომელიმე დაკავშირებული მხარესთან გარიგების განხორციელებამდე
- ბანკის სასესხო დავალიანების შეზღუდვა რომელიმე ცალკეულ დაკავშირებულ მხარემდე ან დაკავშირებული მხარეების ჯგუფამდე
- დაკავშირებული მხარეების რაოდენობის შემცირება მართვად დონემდე.

დაკავშირებული მხარის რისკის ანალიზს ჩვეულებრივ ბანკის რისკების მართვის განყოფილება აწარმოებს ხაზინის განყოფილებასთან თანამშრომლობით.

რომელიმე ცალკეული დაკავშირებული მხარის ან დაკავშირებული მხარეების ჯგუფის შესახებ მაქსიმალური რისკის შეზღუდვის მიზნით, ბანკის შესხი ერთ რომელიმე დაკავშირებული მხარეზე არ უნდა აღემატებოდეს სავალდებულო კაპიტალის 10%-ს არა-OECD და 25%-ს - OECD საბანკო ჯგუფისთვის, თუ პროგრედიტ ჰოლდინგის რისკების მართვის კომიტეტი არ დაამტკიცებს.

შიდა საბანკო დაბანდებები ძალიან მოკლევადიანია, ჩვეულებრივ 3 თვემდე, რაც შემდგომ ამცირებს ამ ტრანზაქციებთან დაკავშირებულ რისკს. ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში ლიკვიდურობის მიზნებიდან გამომდინარე (სახაზინო ვექსილები ან სადეპოზიტო სექტიფიკატები) ადგილობრივ მთავრობასთან ან საქართველოს ეროვნულ ბანკთან ხორციელდება. ბანკის პოლიტიკის მიხედვით, ამგვარი ინსტრუმენტებით ვაჭრობა არ წარმოებს. ყველა მსხვილ დაბანდებას ALCO ამტკიცებს.

ლიკვიდურობის რისკი

ბანკის ლიკვიდურობის რისკს ორი მნიშვნელობა აქვს. ვიწრო მნიშვნელობით ეს ნიშნავს, რომ ბანკი ვეღარ შეძლებს მიმდინარე და სამომავლო გადახდის ვალდებულების სრულად ან დროულად (გადახდისუნარიობის რისკი) შესრულებას. ფართო მნიშვნელობით გულისხმობს საფრთხეს, რომ ვერ მოხდება დამატებითი დაფინანსების უზრუნველყოფა, ან მხოლოდ გაზრდილი საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით იქნება უზრუნველყოფილი (დაფინანსების რისკი).

ბანკის ლიკვიდურობის რისკის მართვის სისტემა კონკრეტული მახასიათებლების მიხედვითა დარეგულირებული. ერთის მხრივ, ბანკი დაარსებულია როგორც საკრედიტო ინსტიტუტი და ფინანსური შუამავალი ჩვეულებრივი ხალხისთვის. აქედან გამომდინარე, ბანკს გააჩნია საკრედიტო პორტფელი, რომელიც აქტივის მხრივ ყველაზე მსხვილ ცალკეულ კომპონენტს წარმოადგენს და ძირითადად ადგილობრივად მობილიზებული სახსრებით ფინანსდება. სასესხო პორტფელს მიკრო და მცირე ბიზნესებზე გაცემულ მოკლე და გრძელვადიანი სესხების მაღალი კონცენტრაცია ახასიათებს. სესხები გაიცემა ანუიტეტურ ვადიან სესხებად და გააჩნიათ ძალიან დაბალი დეფოლტის განაკვეთები (ფულადი სახსრების მოძრაობის წინასწარ განსაზღვრის მაღალი ალბათობა). რადგანაც დეპოზიტები წარმოადგენს ბანკის საკრედიტო პორტფელის ზრდის დაფინანსების ძირითად საშუალებას, კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტებზე დამოკიდებულება დაბალია.

მეორეს მხრივ, ბანკი ეგრეთ წოდებული “გარდამავალი ეკონომიკის” ქვეყნებში საქმიანობს, სადაც სტაბილური ფინანსური ბაზარი ჯერ კიდევ განვითარების სტადიაშია. ფულადი ბაზრები განუვითარებელია და შესაძლებელია არასაიმედო იყოს ადგილობრივი არასასურველი მაკრო გარემოს შემთხვევაში. კლიენტთა მოქმედებაც შეიძლება ცვალებადი იყოს, განსაკუთრებით ეკონომიკური ან პოლიტიკური კრიზისის, ლიკვიდურობის მნიშვნელოვანი გადინების ვითარებაში. ამიტომ ბანკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სადეპოზიტო კლიენტებთან მჭიდრო ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

ბანკის ლიკვიდურობის რისკის მართვის ძირითადი პრინციპები/ამოცანებია:

- ლიკვიდურობის შესაბამისი დონეების უზრუნველყოფა

- მიმდინარე რეჟიმში ლიკვიდურობისა და დაფინანსების მონიტორინგი დამტკიცებული ბიზნეს მიზნების ბანკის რისკების პროფილთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

პროკრედიტ ჰოლდინგის ჯგუფის დონეზე დადგენილი სტანდარტების მიხედვით, ბანკმა უნდა მოახდინოს თავისი ლიკვიდურობისა და დაფინანსების რისკის იდენტიფიკაცია, შეფასება, მართვა და მონიტორინგი, და შესაბამისი ინფორმაცია პროკრედიტ ჰოლდინგის ჯგუფს მიაწოდოს, ლიკვიდურობისა და დაფინანსების რისკის შეფასების ხელშეწყობის მიზნით, რაც ბანკის ლიკვიდურობის რისკის მართვის პოლიტიკის მიხედვით ხორციელდება.

ხაზინის განყოფილება ყოველდღიურად მართავს ლიკვიდურობის მდგომარეობას. ლიკვიდურობის რისკის მონიტორინგი ALCO-ს შეხვედრებზე ხორციელდება, სადაც მონაწილეობას იღებენ მენეჯმენტის ძირითადი წევრები. რისკების მართვის განყოფილება ლიკვიდურობის რისკის კონტროლსა და მონიტორინგზეა პასუხისმგებელი, მათ შორის მის ბანკის ლიკვიდურობის რისკის მართვის პოლიტიკასთან და მასში განსაზღვრულ ლიმიტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე. რისკების მართვის განყოფილება ასევე პასუხისმგებელია ALCO-ს მიერ განსაზღვრული ზომების განხორციელებაზე.

ბანკი ლიკვიდურობის რისკს მოსალოდნელი გადახდის ვადების საფუძველზე მართავს, განსაკუთრებით კლიენტთა ანგარიშებთან დაკავშირებით. განისაზღვრა დაშვებები, რაც ბანკს მომდევნო 30 დღის განმავლობაში დეპოზიტების 20%-იანი წმინდა გადინების შენარჩუნების საშუალებას მისცემს. საოპერაციო დონეზე დეფიციტის ანგარიში დროის მეტ მონაკვეთებად და ყველაზე მნიშვნელოვან ვალუტებად იყოფა (ევრო ან/და აშშ და ადგილობრივი ვალუტა). ლიკვიდურობის მდგომარეობის მონიტორინგი ფულადი სახსრების მოძრაობის საფუძველზე მიმდინარეობს პროგნოზის სამთვიანი პერიოდის განმავლობაში.

28. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს ბანკის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადებს. დარჩენილი სახელშეკრულებო ვადა განსაზღვრულია როგორც პერიოდი საბალანსო უწყისის თარიღსა და აქტივის ან ვალდებულების სახელშეკრულებო ვადას შორის, ან აქტივის ან ვალდებულებისთვის ნაწილობრივი გადახდის ვადა, ხელშეკრულების მიხედვით.

| '000 ლარი | | 1 - 3 | 3 - 12 | 1 - 2 | 2 - 5 | 5 | |
|---|-----------------|-----------------|----------------|----------------|----------------|-----------------|----------------|
| 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 1 | | | | | წელზე მეტი | სულ |
| | თვემდე | თვე | თვე | წელი | წელი | | |
| ფინანსური აქტივები | | | | | | | |
| ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტები | 107,939 | - | - | - | - | - | 107,939 |
| სხვა ბანკების ვალდებულებები | 37,106 | - | - | - | - | - | 37,106 |
| სესხები და ავანსები კლიენტებზე | 38,829 | 61,293 | 220,440 | 161,653 | 178,103 | 60,765 | 721,083 |
| გასაყიდად ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | - | - | 3,922 | - | - | 435 | 4,357 |
| მთლიანი დადგენილი სვოპები და ფორვარდები | 16,937 | - | 26,344 | - | - | - | 43,281 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 2,288 | 5 | 308 | - | - | - | 2,601 |
| სულ | 203,099 | 61,298 | 251,014 | 161,653 | 178,103 | 61,200 | 916,367 |
| ფინანსური ვალდებულებები | | | | | | | |
| ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ | 493 | - | - | - | - | - | 493 |
| კლიენტთა ანგარიშები | 195,741 | 70,956 | 118,291 | 12,338 | 1,490 | 5,385 | 404,201 |
| სხვა ნასესხები ფულადი სახსრები | 3,492 | 1,667 | 49,063 | 71,790 | 56,139 | 3,034 | 185,185 |
| მთლიანი დადგენილი სვოპები და ფორვარდები | 17,799 | - | 26,000 | - | - | - | 43,799 |
| გარანტიები და აკრედიტივები | 106 | 1,530 | 3,499 | 195 | 131 | - | 5,461 |
| სესხის გაცემის ვალდებულებები | 10,761 | - | - | - | - | - | 10,761 |
| სხვა ფინანსური პასივები | 424 | - | 695 | - | - | - | 1,119 |
| სუბორდინირებული ვალი | - | 655 | 4,259 | 4,913 | 22,174 | 71,586 | 103,587 |
| სამომავლო პოტენციური გადახდები ფინანსურ ვალდებულებებზე სულ | 228,816 | 74,808 | 201,807 | 89,236 | 79,934 | 80,005 | 754,606 |
| ღია პოზიცია | (25,717) | (13,510) | 49,207 | 72,417 | 98,169 | (18,805) | |
| კუმულაციური ლიკვიდურობის დეფიციტი | (25,717) | (39,227) | 9,980 | 82,397 | 180,566 | 161,761 | |

ს. ს. პროგრედიტ ბანკი
31 დეკემბერი, 2009 წ.

28. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

| '000 ლარი | | | | | | | |
|--|----------------|-----------------|----------------|----------------|----------------|-----------------|----------------|
| | | 1 - 3 | 3 - 12 | 1 - 2 | 2 - 5 | 5 | |
| 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| | თვემდე | თვე | თვე | წელი | წელი | წელი | სულ |
| ფინანსური ვალდებულებები | | | | | | | |
| ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ | 78,556 | - | - | - | - | - | 78,556 |
| სხვა ბანკების ვალდებულებები | 50,369 | - | 2,631 | - | - | - | 53,000 |
| სესხები და ავანსები კლიენტებზე | 34,285 | 65,139 | 203,249 | 154,191 | 152,539 | 51,315 | 660,718 |
| გასაყიდად ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | - | - | - | - | - | 435 | 435 |
| სხვა ფინანსური აქტივები | - | - | - | 373 | - | - | 373 |
| სულ ფინანსური აქტივები | 163,210 | 65,139 | 205,880 | 154,564 | 152,539 | 51,750 | 793,082 |
| ფინანსური ვალდებულებები | | | | | | | |
| ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ | 5,509 | 14,300 | 2,336 | - | - | - | 22,145 |
| კლიენტთა ანგარიშები | 101,531 | 90,965 | 87,974 | 20,728 | 963 | 2,991 | 305,152 |
| სხვა ნასესხები ფულადი სახსრები | 48,240 | 3,413 | 23,686 | 78,308 | 101,396 | 4,330 | 259,373 |
| გარანტიები და აკრედიტივები | 234 | 2,065 | 3,748 | 9 | 486 | - | 6,542 |
| სესხის გაცემის ვალდებულებები | 19 | 3,544 | 8,796 | 50 | - | - | 12,409 |
| სხვა ფინანსური პასივები | 86 | 351 | - | - | - | - | 437 |
| სუბორდინირებული ვალი | 72 | 387 | 3,072 | 4,146 | 15,087 | 55,407 | 78,171 |
| ფინანსური პასივები სულ | 155,691 | 115,025 | 129,612 | 103,241 | 117,932 | 62,728 | 684,229 |
| ღია პოზიცია | 7,519 | (49,886) | 76,268 | 51,323 | 34,607 | (10,978) | |
| კუმულაციური ლიკვიდურობის დეფიციტი | 7,519 | (42,367) | 33,901 | 85,224 | 119,831 | 108,853 | |

ბანკი არ გამოიყენებს ზემოხსენებულ ვადის ანალიზს, რომელიც სამომავლო სახელშეკრულებო პროცენტსაც მოიცავს, ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით. ბანკი შემდეგნაირად უწევს მონიტორინგს მოსალოდნელ დარჩენილ სახელშეკრულებო ვადებს და შედეგად მიღებულ მოსალოდნელ ლიკვიდურობის დეფიციტს: \

‘000 ლარი

| 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 1 | 1 - 3 | 3 - 12 | 1 - 2 | 2 - 5 | 5 | სულ |
|---|----------|----------|---------|---------|---------|----------|---------|
| | თვემდე | თვე | თვე | წელი | წელი | წელი | |
| ფინანსური აქტივები სულ | 194,523 | 44,917 | 189,775 | 116,205 | 125,889 | 44,419 | 715,728 |
| ფინანსური პასივები სულ | 217,119 | 69,216 | 177,409 | 77,256 | 57,829 | 64,914 | 663,743 |
| ლიკვიდურობის წმინდა დეფიციტი მოსალოდნელი ვადების მიხედვით | (22,596) | (24,299) | 12,366 | 38,949 | 68,060 | (20,495) | |
| 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | | | | | | | |
| ფინანსური აქტივები სულ | 155,458 | 51,545 | 157,225 | 119,126 | 114,101 | 40,276 | 637,731 |
| ფინანსური პასივები სულ | 112,653 | 67,045 | 105,419 | 76,166 | 104,837 | 125,280 | 591,400 |
| ლიკვიდურობის წმინდა დეფიციტი მოსალოდნელი ვადების მიხედვით | 42,805 | (15,500) | 51,806 | 42,960 | 9,264 | (85,004) | |

დაფინანსების რისკი

ბიზნეს გეგმა, რომელიც ყოველწლიურად გადაიხედება, წარმოადგენს ბანკისთვის საშუალოვადიანი დაფინანსების საჭიროების განსაზღვრის საფუძველს როგორც კაპიტალის, ისე ვალის დაფინანსებისთვის. თუ გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროს ბანკს არ აღმოაჩნდება საკმარისი ლიკვიდური ფულადი სახსრები, პროგრედიტ ჰოლდინგი შეასრულებს “საბოლოო დამფინანსებლის როლს”. პროგრედიტ ჰოლდინგს ამ მიზნისთვის ლიკვიდურობის ხელმისაწვდომი რეზერვი გააჩნია.

დაფინანსების რისკი გავრცელებულ რისკად იქცა საერთაშორისო კაპიტალის ბაზარზე განვითარებული მოვლენების გამო, რომელიც ნაკლებად ლიკვიდური გახდა და რისკის გაზრდილი მარჯები ახასიათებს. ბანკი მიიჩნევს, რომ დაფინანსების რისკი დაბალია, კლიენტთა დეპოზიტებზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულობისა და ასევე იმ ფაქტის გამო, რომ ბანკს ისევ მიუწვდება ხელი სხვადასხვა საერთაშორისო წყაროებიდან მიღებულ დაფინანსებაზე.

საბაზრო ფასის რისკი

ბანკის საბაზრო ფასის რისკი განისაზღვრება როგორც სავალუტო რისკი და საპროცენტო განაკვეთის რისკი.

სავალუტო რისკი

ბანკის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთზე მეტ ვალუტაშია დენომინირებული. აქედან გამომდინარე, ბანკი გაცვლითი კურსის ცვლილებების წინაშე დგას, თუ ღია სავალუტო პოზიციები გააჩნია.

ბანკის სავალუტო რისკის მართვის პოლიტიკა აწესებს ლიმიტებს ბანკის პოზიციებისთვის უცხოურ ვალუტაში. ბანკი ღია სავალუტო პოზიციების დახურვისკენ

ისწრაფვის და არ მონაწილეობს კერძო ვაჭრობაში. დერივატივები შეიძლება მხოლოდ ჰეჯირების მიზნებისთვის გამოიყენებოდეს ბანკის პოზიციების დასახურად (გარდა კლიენტების მომსახურებისა და ლიკვიდურობის მიზნებისა). დამტკიცებული უცხოური ვალუტის დერივატივები წარმოადგენს სავალუტო ფორვარდებსა (მათ შორის არადერივაციულ ფორვარდებს) და სავალუტო სვოპებს.

ბანკის სავალუტო რისკის მართვისას შემდეგი წესები გამოიყენება:

- ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვალუტების შესაბამისობა ბანკის გაუთვალისწინებელი სავალუტო მერყეობისგან დაცვის მიზნით. თუ ასეთი შესაბამისობა არ არის შესაძლებელი, ნაკლებობის შესავსებად დერივაციული ფინანსური ინსტრუმენტები გამოიყენება.
- ადგილობრივ ვალუტაში დენომინირებული კაპიტალის მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი გაუფასურებისგან დაცვის მიზნით, ბანკს შეუძლია გრძელი პოზიცია შექმნას ევრო/აშშ დოლარში. თუ ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების სწრაფი საფუძველი არსებობს, გენერალური რისკის მართვის კომიტეტს შეუძლია გახსნას სტრატეგიული ვალუტის პოზიცია ევრო/აშშ დოლარში და გადაწყვეტილების შესახებ დაუყოვნებლად უნდა აცნობოს პროკრედიტ ჰოლდინგის საბაზრო რისკების მართვის ქვეგანყოფილებას.
- უცხოური ვალუტის რისკის მონიტორინგი ყოველდღიურად მიმდინარეობს (ხაზინის განყოფილება) ნებისმიერი დია პოზიციის დახურვის მიზნით (გარდა სტრატეგიული გრძელი პოზიციებისა ევრო/აშშ დოლარში).
- უცხოური ვალუტის პოზიციების განსაზღვრა სპეკულაციური მიზნებისთვის ნებადართული არ არის.
- ჰეჯირების ინსტრუმენტების გამოყენება კვარტალში ერთხელ განიხილება, მათ შორის ასეთი პოზიციების მოგება ზარალის ანალიზის მიხედვით.

28. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

| '000 ლარი 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | | | სხვა | ადგილობრივი | სულ |
|---|----------------|----------------|------------|----------------|----------------|
| | EUR | USD | გალუბა | გალუბა | |
| აქტივები | | | | | |
| ნაღდი ფული და ეკვივალენტი | 14,252 | 29,632 | 115 | 63,940 | 107,939 |
| სხვა ბანკებისგან მისაღები | 23,223 | 13,654 | 208 | 21 | 37,106 |
| გასაყიდად ხელმისაწვდომი საფალო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | - | - | - | 3,922 | 3,922 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები | 12,595 | 392,385 | - | 112,348 | 517,328 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 270 | 1,984 | - | 347 | 2,601 |
| აქტივები სულ | 50,340 | 437,655 | 323 | 180,578 | 668,896 |
| ღია ფორვარდული პოზიცია (აქტივები) | 16,937 | 26,344 | - | - | |
| ვალდებულებები | | | | | |
| საღებულებები სხვა ბანკების მიმართ | - | 484 | - | 9 | 493 |
| კლიენტთა ანგარიშები | 66,613 | 217,875 | 287 | 99,618 | 384,393 |
| სხვა ნასესხები სახსრები | 3,729 | 155,903 | - | 5,018 | 164,650 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 134 | 744 | 3 | 238 | 1,119 |
| სუბორდინირებული ვალი | - | 67,642 | - | - | 67,642 |
| ვალდებულებები სულ | 70,476 | 442,648 | 290 | 104,883 | 618,297 |
| ღია ფორვარდული პოზიცია (ვალდებულებები) | - | 17,799 | - | 26,000 | |
| წმინდა პოზიცია | (3,199) | 3,552 | 33 | 49,695 | |
| გარანტიები და აკრედიტივები | 55 | 2,585 | - | 2,821 | |
| სესხის გაცემის ვალდებულებები | 1,142 | 9,208 | - | 411 | |

| '000 ლარი 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | | | სხვა | ადგილობრივი | სულ |
|---|---------------|----------------|------------|----------------|----------------|
| | EUR | USD | გალუბა | გალუბა | |
| აქტივები | | | | | |
| ნაღდი ფული და ეკვივალენტი | 9,046 | 42,655 | 272 | 26,583 | 78,556 |
| სხვა ბანკებისგან მისაღები | 40,185 | 12,303 | 293 | 131 | 52,912 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები | 17,371 | 373,692 | - | 110,219 | 501,282 |
| სხვა ფინანსური აქტივები | - | - | - | 373 | 373 |
| აქტივები სულ | 66,602 | 428,650 | 565 | 137,306 | 633,123 |
| ვალდებულებები | | | | | |
| საღებულებები სხვა ბანკების მიმართ | - | - | - | 22,145 | 22,145 |
| კლიენტთა ანგარიშები | 56,344 | 164,707 | 188 | 72,357 | 293,596 |

ს. ს. პროგრედიტ ბანკი
31 დეკემბერი, 2009 წ.

| | | | | | |
|------------------------------|---------------|----------------|------------|---------------|----------------|
| სხვა ნასესხები სახსრები | 10,957 | 213,552 | 2 | 5,013 | 229,524 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | - | 351 | - | 86 | 437 |
| სუბორდინირებული ვალი | - | 41,254 | - | - | 41,254 |
| ვალდებულებები სულ | 67,301 | 419,864 | 190 | 99,601 | 586,956 |
| წმინდა პოზიცია | (699) | 8,786 | 375 | 37,705 | |
| გარანტიები და აკრედიტივები | 638 | 3,098 | - | 2,806 | |
| სესხის გაცემის ვალდებულებები | 599 | 11,070 | - | 740 | |

28. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

უცხოური ვალუტის რისკის შეფასების მიზნით, კვარტალში ერთხელ ხდება რისკის დაქვემდებარებული ღირებულების (VaR) ანალიზი. ფლობის პერიოდად განისაზღვრა ერთი წელი, ხოლო დაბრუნების პერიოდად – სამი წელი.

| '000 ლარი | 95% სანდოობა | 99% სანდოობა |
|---|--------------|--------------|
| 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | | |
| მაქსიმალური დანაკარგი (VaR) | (27) | (520) |
| საშუალო დანაკარგი სანდოობის ინტერვალის გადაჭარბების შემთხვევაში | (131) | (377) |

საპროცენტო განაკვეთის რისკი

ბანკის საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის პოლიტიკა განსაზღვრავს ლიმიტებს პოზიციებზე თითოეულ მატერიალურ საოპერაციო ვალუტაში. საპროცენტო ცვლილებების მონიტორინგის მიზნით, ბანკი საპროცენტო განაკვეთის განსხვავებების ანალიზს გამოიყენებს და განსაზღვრავს სხვადასხვა სცენარის ეკონომიკურ ზეგავლენას შემოსავლიანობის მრუდის ცვლილებებთან დაკავშირებით ყველა მატერიალური საოპერაციო ვალუტისთვის.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი წარმოადგენს ბანკის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კუმულაციურ თანხებს ნომინალური ღირებულებით, რაც ადრეული სახელშეკრულებო პროცენტის გადაფასებისა და ვადიანობის მიხედვით კლასიფიცირდება.

| '000 ლარი | 1 | 1 - 3 თვე | 3 - 12 თვე | 1 - 2 წელი | 2 - 5 წელი | 5 წელზე მეტი | უპროცენტო | სულ |
|---|---------------|---------------|----------------|----------------|----------------|---------------|----------------|----------------|
| 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | თვემდე | | | | | | | |
| აქტივები | | | | | | | | |
| ნაღდი ფული და ეკვივალენტი | 9,980 | - | - | - | - | - | 97,959 | 107,939 |
| სხვა ბანკებისგან მისაღები | 35,916 | - | - | - | - | - | 1,190 | 37,106 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები | 25,704 | 44,667 | 158,350 | 116,203 | 125,889 | 43,978 | 2,537 | 517,328 |
| გასაყიდად ხელმისაწვდომი სავალო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | - | - | 3,922 | - | - | - | 435 | 4,357 |
| სხვა ფინანსური აქტივები | - | - | - | - | - | - | 2,601 | 2,601 |
| აქტივები სულ | 71,600 | 44,667 | 162,272 | 116,203 | 125,889 | 43,978 | 104,722 | 669,331 |
| ვალდებულებები | | | | | | | | |
| საღირებულებები სხვა ბანკების მიმართ | - | - | - | - | - | - | 493 | 493 |

ს. ს. პროგრედიტ ბანკი
31 დეკემბერი, 2009 წ.

| | | | | | | | | |
|--|------------------|-----------------|----------------|---------------|----------------|---------------|----------------|----------------|
| მოგებისა და ზარალის მიხედვით აღიარებული ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით | - | - | - | - | - | - | 905 | 905 |
| კლიენტთა ანგარიშები | 104,557 | 66,453 | 104,861 | 10,077 | 1,002 | 2,438 | 95,005 | 384,393 |
| სხვა ნასესხები სახსრები | 48,946 | 21,073 | 49,181 | 40,150 | 1,157 | 2,410 | 1,733 | 164,650 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | - | - | - | - | - | - | 1,119 | 1,119 |
| სუბორდინირებული ვალი | 25,287 | - | - | 3,443 | 6,743 | 31,187 | 982 | 67,642 |
| ვალდებულებები სულ | 178,790 | 87,526 | 154,042 | 53,670 | 8,902 | 36,035 | 100,237 | 619,202 |
| წმინდა საპროცენტო განაკვეთისადმი მგრძობიარობა | (107,190) | (42,859) | 8,230 | 62,533 | 116,987 | 7,943 | | |

28. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

| '000 ლარი | 1 | 1 - 3 | 3 - 12 | 1 - 2 | 2 - 5 | 5 | უპროც | სულ |
|--|-----------------|-----------------|----------------|----------------|----------------|----------------|---------------|----------------|
| 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | თვემდე | თვე | თვე | წელი | წელი | წელზე მეტი | ენტო | |
| აქტივები | | | | | | | | |
| ნაღდი ფული და ეკვივალენტი | - | - | - | - | - | - | 78,556 | 78,556 |
| სხვა ბანკებისგან მისაღები | 43,308 | - | 2,631 | - | - | - | 6,973 | 52,912 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები | 26,621 | 45,385 | 154,597 | 118,753 | 114,101 | 39,841 | 1,984 | 501,282 |
| გასაყიდად ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | - | - | - | - | - | - | 435 | 435 |
| სხვა ფინანსური აქტივები | - | - | - | - | - | - | 373 | 373 |
| აქტივები სულ | 69,929 | 45,385 | 157,228 | 118,753 | 114,101 | 39,841 | 88,321 | 633,558 |
| ვალდებულებები | | | | | | | | |
| საღებულებები სხვა ბანკების მიმართ | 5 | 14,300 | 2,336 | - | - | - | 5,504 | 22,145 |
| კლიენტთა ანგარიშები | 63,154 | 87,956 | 78,660 | 18,907 | 759 | 1,701 | 42,459 | 293,596 |
| სხვა ნასესხები | 48,254 | 1,831 | 13,783 | 67,507 | 94,751 | 3,398 | - | 229,524 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | - | - | - | - | - | - | 437 | 437 |
| სუბორდინირებული ვალი | 72 | 326 | 385 | - | 3,130 | 37,341 | - | 41,254 |
| ვალდებულებები სულ | 111,485 | 104,413 | 95,164 | 86,414 | 98,640 | 42,440 | 48,400 | 586,956 |
| წმინდა საპროცენტო განაკვეთისადმი მგრძობიარობა | (41,556) | (59,028) | 62,064 | 32,339 | 15,461 | (2,599) | | |

ბანკის საპროცენტო განაკვეთის რისკის პოზიციას მონიტორინგს გენერალური რისკების მართვის კომიტეტი უწევს. საპროცენტო განაკვეთის მარუები ბუფერის როლს ასრულებს, რომელსაც შეუძლია გარკვეული დონით მიიღოს საპროცენტო განაკვეთის რყევები. საპროცენტო განაკვეთის მერყობასთან დაკავშირებული სასესხო პორტფელის რისკები ხელშეკრულებების დიდ ნაწილში, რომლებიც გრძელვადიან სესხებს ეხება, შეზღუდულია საპროცენტო განაკვეთის კორექტირების პუქტების მიხედვით.

რაოდენობითი მანვენებლების მხრივ, საპროცენტო განაკვეთის მერყობასთან დაკავშირებული რისკები ამჟამად შეზღუდულია და უზრუნველყოფს, რომ ბანკის საპროცენტო განაკვეთის რისკი (ეკონომიკური ღირებულების ზეგავლენა მიმდინარე ღირებულებაზე) ევრო/აშშ დოლარისთვის +/- 200 bps და ადგილობრივი ვალუტისთვის +/- 1000 bps საპროცენტო განაკვეთის რყევის მიხედვით, არ უნდა აღემატებოდეს ბანკის სავალდებულო კაპიტალის 10%-ს თითოეული ვალუტისთვის.

ს. ს. პროგრედიტ ბანკი
31 დეკემბერი, 2009 წ.

ანგარიშგების თარიღს რაც შეეხება, ბანკი შეესაბამებოდა ამ ლიმიტებს. აღწერილი სცენარების ანალიზი (კუმულაციური საპროცენტო მოგების ზეგავლენა სამი თვის განმავლობაში) 2009 წლის 31 დეკემბრისათვის შემდეგია:

| | გავლენა მოგება ზარალზე (ტოლია გავლენისა კაპიტალზე) | |
|-----|--|-------------------------------------|
| | სავარაუდო უარყოფითი შემთხვევის სცენარი +/-2% or +/-5% | სტრესის სცენარი +/-3% or +/-7.5% |
| USD | (274) | (411) |
| EUR | 38 | 57 |
| GEL | (21) | (32) |
| | (257) | (386) |

28. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ბანკი მონიტორინგს უწევს საპროცენტო განაკვეთებს საკუთარი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის თითოეული მსხვილი ვალუტის შემთხვევით. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია საშუალო საპროცენტო განაკვეთები შენეჯმენტის რგოლის მიერ განხილულ ანგარიშებზე დაყრდნობით:

2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| % წლიური | EUR | USD | ადგილობრივი ვალუტა |
|---|-------|-------|--------------------|
| ფინანსური აქტივები | | | |
| სხვა ბანკებისგან მისაღები | 0.19 | 0.12 | 1.98 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები | 16.81 | 19.19 | 29.88 |
| გასაყიდად ხელმისაწვდომი სავალდებულებო ფასიანი ქაღალდები | - | - | 3.71 |
| ფინანსური ვალდებულებები | | | |
| საღებულებები სხვა ბანკების მიმართ | - | - | - |
| კლიენტთა ანგარიშები | 6.99 | 7.53 | 7.83 |
| სხვა ნასესხები სახსრები | 2.50 | 7.39 | 2.00 |
| სუბორდინირებული ვალი | - | 7.70 | - |

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| % წლიური | EUR | USD | ადგილობრივი ვალუტა |
|---|-------|-------|--------------------|
| ფინანსური აქტივები | | | |
| სხვა ბანკებისგან მისაღები | 4.78 | 3.81 | - |
| კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები | 12.84 | 18.35 | 27.72 |
| ფინანსური ვალდებულებები | | | |
| ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ | - | 8.08 | 13.78 |
| კლიენტთა ანგარიშები | 6.85 | 7.55 | 8.48 |
| სხვა ნასესხები სახსრები | 2.50 | 7.13 | 2.00 |
| სუბორდინირებული ვალი | - | 10.44 | - |

29. ფინანსური ინტერუმენტების რეალური ღირებულება

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნომინალური ღირებულებები და სამართლიანი ღირებულებები ფინანსური ინტერუმენტების კლასების მიხედვით, რაც ბანკის საქმიანობის მიხედვითაა განსაზღვრული.

| '000 ლარი | 2009 | | 2008 | |
|---|-----------------------|------------------------|-----------------------|------------------------|
| | ნომინალური ღირებულება | სამართლიანი ღირებულება | ნომინალური ღირებულება | სამართლიანი ღირებულება |
| ფინანსური აქტივები | | | | |
| ნაღდი ფული | 107,939 | 107,939 | 78,556 | 78,556 |
| სხვა ბანკებისგან მისაღები კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები | 37,106 | 37,106 | 52,912 | 52,915 |
| ბიზნეს აგრო | 453,866 | 439,547 | 442,393 | 442,393 |
| ბინის კეთილმოწყობის სამომხმარებლო | 17,551 | 16,872 | 13,732 | 13,732 |
| სხვა | 26,473 | 25,393 | 27,080 | 27,080 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 7,359 | 8,235 | 6,682 | 6,682 |
| | 12,078 | 11,988 | 11,395 | 11,395 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 2,601 | 2,601 | 373 | 373 |
| სულ | 664,973 | 649,681 | 633,123 | 633,126 |
| ფინანსური ვალდებულებები | | | | |
| ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ | 493 | 493 | 22,145 | 22,145 |
| კლიენტთა ანგარიშები | | | | |
| მიმდინარე ანგარიშები | 87,213 | 87,213 | 56,434 | 56,434 |
| შემნახველი ანგარიშები | 105,239 | 105,239 | 83,292 | 83,292 |
| ვადიანი ანაბრები | 190,903 | 187,797 | 153,870 | 153,870 |
| სხვა ვალდებულებები კლიენტების მიმართ | 1,038 | 1,038 | - | - |
| სხვა ნასესხები სახსრები | 164,650 | 166,325 | 229,524 | 229,980 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 1,119 | 1,119 | 437 | 437 |
| სუბორდინირებული ვალი | 67,642 | 69,310 | 41,254 | 41,420 |
| სულ | 618,297 | 618,534 | 586,956 | 357,598 |

კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების შეფასებული სამართლიანი ღირებულება შეესაბამება შეფასებული მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ოდენობას. მოსალოდნელი ფულადი სახსრების მოძრაობის სამართლიანი ღირებულებამდე დისკონტირება ხდება შესაბამისი ბაზრების მიმდინარე საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით.

ფინანსური ინტერუმენტების კლასებისთვის, სადაც სამართლიანი ღირებულებების განსაზღვრა საბაზრო კოტირების მეშვეობით არ იქნებოდა შესაძლებელი, ბანკმა გამოიყენა მე-2 დონის შეფასების მეთოდები დისკონტის განაკვეთებით, რაც მიმდინარე დაკვირვებად საბაზრო განაკვეთებს წარმოადგენს:

29. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება (გაგრძელება)

| % წლიური | 2009 | | 2008 | |
|--|------|--------|------|--------|
| სხვა ბანკებისგან მისაღები | | | | |
| მოკლევადიანი დაბანდებები სხვა ბანკებში სამ თვეზე მეტი თავდაპირველი ვადით | 1 | 2-მდე | 3 | 4-მდე |
| კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები | | | | |
| ბიზნეს | 15 | 36-მდე | 16 | 36-მდე |
| აგრო | 15 | 35-მდე | 15 | 36-მდე |
| ბინის კეთილმოწყობის | 18 | 30-მდე | 19 | 32-მდე |
| სამომხმარებლო | 20 | 34-მდე | 21 | 35-მდე |
| ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ | | - | 9 | 12-მდე |
| კლიენტთა ანგარიშები | | | | |
| - მიმდინარე და ანგარიშსწორების ანგარიშები | 2 | 5-მდე | 2 | 5-მდე |
| - ვადიანი ანაბრები | 7 | 15-მდე | 7 | 16-მდე |
| სხვა ნასესხები სახსრები | 2 | 8-მდე | 2 | 9-მდე |
| სუბორდინირებული ვალი | 3 | 8-მდე | 2 | 10-მდე |

შემდეგი ცხრილი წარმოადგენს სამართლიანი ღირებულებების განაწილებას სხვადასხვა სამართლიანი ღირებულების იერარქიებზე ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისათვის, რაც სამართლიანი ღირებულების მიხედვით ხორციელდება.

| '000 ლარი | ფინანსური აქტივები | მთლიანი სამართლიანი ღირებულება | რომლის | | |
|------------|--|--------------------------------|----------|--------------|----------|
| | | | დონე 1 | დონე 2 | დონე 3 |
| | გასაყიდად ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 3,922 | - | 3,922 | - |
| სულ | | 3,922 | - | 3,922 | - |

სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთების მქონე მოთხოვნებისა და ვადიანი ანაბრების სამართლიანი ღირებულება იდენტურია მათი სააღრიცხვო ღირებულებებისა. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების მქონე მოთხოვნებისა და ვადიანი ანაბრების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა დისკონტირებული ფულადი სახსრების მოძრაობის მეთოდის გამოყენებით, ასევე ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი დეფოლტის რისკები ახასიათებთ და მსგავსი დარჩენილი ვადა აქვთ.

30. ფინანსური ინსტრუმენტების კლასების მისადაგება შეფასების კატეგორიებთან

შეფასების მიზნით, სბს 39, *ფინანსური ინსტრუმენტები: შეფასების აღიარება*, ფინანსურ აქტივებს შემდეგი კატეგორიების მიხედვით განსაზღვრავს: (ა) სესხები და დებიტორული დავალიანება და (ბ) გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები.

შემდეგ ცხრილში ფინანსური ინსტრუმენტები შესაბამისობაშია მოყვანილი შეფასების ამ კატეგორიებთან, 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| '000 ლარი | სესხები და დებიტორული დავალიანება | გასაყიდად ხელმისაწვდომი აქტივები | სულ |
|--|---|--|----------------|
| ფინანსური აქტივები | | | |
| ნაღდი ფული და ეკვივალენტი | - | - | 107,939 |
| სხვა ბანკებისგან მისაღები | 37,106 | - | 37,106 |
| გასაყიდად ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | - | 4,357 | 4,357 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები | | | |
| ბიზნეს | 453,866 | | 453,866 |
| აგრო | 17,551 | | 17,551 |
| ბინის კეთილმოწყობის | 26,473 | | 26,473 |
| სამომხმარებლო | 7,359 | | 7,359 |
| სხვა | 12,078 | | 12,078 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 2,601 | | 2,601 |
| ფინანსური აქტივები სულ | 557,035 | 4,357 | 669,331 |
| არაფინანსური აქტივები | - | - | 52,882 |
| აქტივები სულ | - | - | 722,213 |

შემდეგ ცხრილში ფინანსური ინსტრუმენტები შესაბამისობაშია მოყვანილი შეფასების ამ კატეგორიებთან, 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| '000 ლარი | სესხები და დებიტორული დავალიანება | გასაყიდად ხელმისაწვდომი აქტივები | სულ |
|--|---|--|---------|
| ფინანსური აქტივები | | | |
| ნაღდი ფული და ეკვივალენტი | - | - | 78,556 |
| სხვა ბანკებისგან მისაღები | 52,912 | - | 52,912 |
| გასაყიდად ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | - | 435 | 435 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები | | | |
| ბიზნეს | 442,393 | | 442,393 |
| აგრო | 13,732 | | 13,732 |
| ბინის კეთილმოწყობის | 27,080 | | 27,080 |
| სამომხმარებლო | 6,682 | | 6,682 |
| სხვა | 11,395 | | 11,395 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 373 | - | 373 |

ს. ს. პროგრედიტ ბანკი
31 დეკემბერი, 2009 წ.

| | | | |
|------------------------|---------|-----|---------|
| ფინანსური აქტივები სულ | 554,567 | 435 | 633,558 |
| არაფინანსური აქტივები | - | - | 46,644 |
| აქტივები სულ | - | - | 680,202 |

ბანკის ყველა ფინანსური ვალდებულება, გარდა დერივატივებისა, ასახულია ამორტიზირებული ღირებულებით. დერივატივები სამართლიან ღირებულებას მიეკუთვნება მოგების ან ზარალის შეფასების კატეგორიის მიხედვით.

31. პირობითი ვალდებულებები

| '000 ლარი | 2009 | 2008 |
|--|---------------|---------------|
| გარანტიები და სარეზერვო აკრედიტივები | 5,461 | 6,542 |
| სესხის გაცემის ვალდებულებები: | | |
| - ერთი წლის ან ნაკლები დაფარვის თავდაპირველი ვადით | 10,733 | 12,359 |
| - ერთი წელზე მეტი დაფარვის თავდაპირველი ვადით | 28 | 50 |
| სულ | 16,222 | 18,951 |

ზემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია პირობითი ვალდებულებებისა და გარანტიების ნომინალური ძირი თანხები, ანუ რისკს დაქვემდებარებული თანხები, ხელშეკრულებების დარღვევის და კლიენტის დეფორტის შემთხვევაში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ვალდებულებებისა და გარანტიების მნიშვნელოვან ნაწილს ვადა შეუწყდება დარღვევის შემთხვევაში; ამიტომ მთლიანი სახელშეკრულებო თანხები არ წარმოადგენს მომავალი ლიკვიდურობის მოთხოვნებს.

სესხებთან დაკავშირებული ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება 2009 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით 10,870 ათას ლარს შეადგენდა (2008: 12,540 ათასი).

კაპიტალ დანახარჯების ვალდებულებები

2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს 167 ათასი ლარის ოდენობის კაპიტალ დანახარჯების სახელშეკრულებო ვალდებულებები ჰქონდა (2008: ნული). ბანკმა უკვე გამოყო საჭირო რესურსები ამ ვალდებულებებისთვის. ბანკი მიიჩნევს, რომ სამომავლო წმინდა შემოსავალი და დაფინანსება საკმარისი იქნება ამ და მსგავსი ვალდებულებების დასაფარად.

ოპერაციული საიჯარო ვალდებულებები

როდესაც ბანკი მოიჯარეა, მომავალი მინიმალური საიჯარო ქირა არაგაუქმებადი ოპერაციული იჯარის პირობებში შემდეგნაირად გადაიხდება:

| '000 ლარი | 2009 | 2008 |
|---|------------|------------|
| - არა უგვიანეს ერთი წლისა | 36 | 78 |
| - ერთზე წელზე მეტი ხნის შემდეგ და არა უგვიანეს ხუთი წლისა | 195 | 85 |
| - ხუთი წლის შემდეგ | 161 | 169 |
| სულ | 392 | 332 |

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვა ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. ბანკის ტრანზაქციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული ბანკისეული ინტერპრეტაციები შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს შესაბამისი რეგიონალური და სახელმწიფო ორგანოების ინტერპრეტაციებს. საქართველოში მომხდარი ბოლოდროინდელი შემთხვევები ცხადყოფს,

რომ საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კანონმდებლობისა და შეფასებების საკმაოდ კატეგორიული ინტერპრეტაცია წარმოადგინონ, და შესაძლებელია, რომ ინტერპრეტაციები, რომლებიც ადრე წინააღმდეგობაში არ მოდიოდა კანონმდებლობასთან, ამიერიდან საწინააღმდეგოდ იქნას მიჩნეული. შედეგად, შეიძლება მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, საურავები და პროცენტები დაწესდეს. საფინანსო საგადასახადო პერიოდების შემოწმების უფლება საგადასახადო ორგანოებს შემოწმების პერიოდიდან სამი კალენდარული პერიოდის განმავლობაში აქვთ. ბანკი შესაბამისი კანონმდებლობის საკუთარ ინტერპრეტაციას მართებულად მიიჩნევს და ბანკის საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო პოზიციებს დაიცავს. შესაბამისად, 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, პოტენციური საგადასახადო ვალდებულებების რეზერვი არ აისახება.

შესაბამისობა შეთანხმებებთან

ბანკს გაფორმებული აქვს სესხებთან დაკავშირებული ხელშეკრულებები. ამ ხელშეკრულებების შეუსრულებლობამ შესაძლოა უარყოფითი შედეგი მოუტანოს ბანკს, როგორცაა სესხის ღირებულების გაზრდა და დეფოლტის გამოცხადება. 2009 და 2008 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი შეთანხმებების შესაბამისად მოქმედებდა.

32. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბანკის დამფუძნებელს წარმოადგებს სს პროკრედიტ ჰოლდინგი (“დამფუძნებელი”). ბანკის დაკავშირებული მხარეებია დამფუძნებელი, შვილობილი კომპანიები, მენეჯმენტის რგოლი, მენეჯმენტის რგოლის ოჯახის წევრები და მენეჯმენტის რგოლის ან მათი ოჯახის წევრების მიერ მართული ან მათში მნიშვნელოვანი ზემოქმედების ქვეშ არსებული კომპანიები. სხვა დაკავშირებულ მხარეებში შედიან დამფუძნებლოს აქციონერები და პირები, რომლებსაც დამფუძნებელი აკონტროლებს.

ტრანზაქციები მენეჯმენტთან, მათ ოჯახის წევრებთან და კომპანიებთან მიჩნეულია დაკავშირებულ მხარეებად პირებთან სხს 24-ის პირობების მიხედვით.

2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი მიმდინარე ტრანზაქციები აქვს:

| '000 ლარი | 2009 | 2008 |
|---|------|--------|
| აქტივები | | |
| სხვა ბანკებისგან მისაღები | | |
| - დამფუძნებელი | - | 28,378 |
| - სხვა დაკავშირებული მხარეები | 374 | 83 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები | | |
| - სხვა დაკავშირებული მხარეები | - | 5,032 |
| სესხებსა და ავანსებზე გაუფასურების რეზერვები | | |
| - სხვა დაკავშირებული მხარეები | - | (75) |
| სხვა აქტივები | | |
| - დამფუძნებელი | 7 | - |
| - სხვა დაკავშირებული მხარეები | - | 188 |

ს. ს. პროგრედიტ ბანკი
31 დეკემბერი, 2009 წ.

გაღებულები

გაღებულები სხვა ბანკების მიმართ

- სხვა დაკავშირებული მხარეები 9 -

კლიენტთა ნაგარიშები

- წამყვანი მენეჯმენტი 186 463

სხვა ნასესხები თანხები

- დამფუძნებელი 42,755 93,829

სუბორდინირებული ვალი

- დამფუძნებელი 21,793 21,549

ყველა ტრანზაქცია დაკავშირებულ მხარეებთან ძირითადად იგივე პირობებით წარმოებს, რაც მესამე მხარეებთან მსგავსი ტიპის ტრანზაქციებისთვისაა განსაზღვრული.

32. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

2009 წლის 31 დეკემბრის მოგება ზარალის უწყისში შეტანილია დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციებიდან გამომდინარე შემდეგი თანხები:

| '000 ლარი | 2009 | 2008 |
|--|------------|------------|
| მოგება | | |
| საპროცენტო შემოსავალი | | |
| - დამფუძნებელი | 120 | 930 |
| - სხვა დაკავშირებული მხარეები | 300 | 280 |
| სხვა შემოსავალი | | |
| - სხვა დაკავშირებული მხარეები | - | 1,693 |
| ხარჯი | | |
| საპროცენტო ხარჯი | | |
| - დამფუძნებელი | 6,024 | 3,977 |
| - სხვა დაკავშირებული მხარეები | - | 2 |
| - წამყვანი მენეჯმენტი | 4 | 4 |
| სესხებსა და აგანსებზე გაუფასურების რეზერვები | | |
| - სხვა დაკავშირებული მხარეები | - | 75 |
| სხვა ხარჯი | | |
| - დამფუძნებელი | 1,047 | 965 |
| - სხვა დაკავშირებული მხარეები | 818 | 278 |
| - წამყვანი მენეჯმენტი | 139 | 108 |
| დამფუძნებლისთვის გადახდილი მენეჯმენტის მომსახურების ხარჯი | 656 | 868 |

ტრანზაქციები, რომლისგანაც შემდეგი ნაშთები გამომდინარეობს, განხორციელებულია ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში და მათზე იგივე პირობები მოქმედებს, რაც მსგავსი ტიპის პირებთან ან, შესაბამისად, თანამშრომლებთან განხორციელებული ტრანზაქციებისას. ტრანზაქციები გადახდის დეფოლტის ჩვეულებრივ რისკს ექვემდებარებოდა და არ მოიცავდა სხვა რაიმე არასასურველ მახასიათებლებს.

33. ანგარიშების პერიოდის დასრულების შემდგომ მომხდარი მოვლენები

2010 წლის 1 თებერვალს ბანკმა მიიღო 11,958 ათასი ლარის ოდენობის სესხი “SNS საერთაშორისო მიკროსაფინანსო ფორდისგან”, რომლის დაფარვის ვადაცაა 2013 წლის 25 იანვარი. ასეთი სესხები უზრუნველყოფს გრძელვადიან დაფინანსებას ადგილობრივ ვალუტაში.

2010 წლის 1 მარტიდან საპროცენტო განაკვეთები ბანკის ბიზნეს სესხებზე საშუალოდ 2%-ით შემცირდა. საპროცენტო განაკვეთები კლიენტთა ანგარიშებზეც შემცირდა საშუალოდ 1-დან 1.5%-მდე.